საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 20 ივნისი. 2019 წ. №123 (8789) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ვემიჯნებით აგრესიის შემცველ განცხადებებს...

სრულიად მიუღებლად მიგვაჩნია და ვემიჯნებით აგრესიის შემცველ განცხადებებს, როგორც მოძღვრებისაგან, ისე მრევლისაგან, — ამის შესახებ ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

„ბოლო დროს ე.წ. LGBT პრაიდთან დაკავშირებულმა მოვლენებმა უკიდურესად დაძაბა ვითარება ქვეყანაში.

აღნიშნულთან მიმართებაში საქართველოს საპატრიარქომაც თავისი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება დააფიქსირა. ჩვენ გვესმის, რომ ემოციური ფონი გამძაფრებულია, მაგრამ სრულიად მიუღებლად მიგვაჩნია და ვემიჯნებით აგრესიის შემცველ განცხადებებს, როგორც მოძღვრებისაგან, ისე მრევლისაგან.

პირველ რიგში მოვუწოდებთ სასულიერო პირებს, თავი შეიკავონ თვითნებურად გამართული ბრიფინგებისაგან, შეუთანხმებელი საჯარო განცხადებებისა და ისეთი ქმედებებისგან, რომლებიც ქრისტიანულ სწავლებას ეწინააღმდეგება“, — ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს მწერალთა კავშირის XXV ყრილობის შესახვედრად

ღია წერილი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარ რედაქტორს, ბატონ სპარტაკ ქოზულიას!

ხარსა ულლისა მზიდავსა,
არ უნდა უდიერობა.
ხალხური

ბატონო სპარტაკ, თავს უფლებას ვერ მივცემ, ეს წერილი **„ფიქრები ლიტერატურაზე“,** ისე შემოგთავაზოთ, ჯერ მისი ისტორია ახდილად არ გაგიზიაროთ. იგი 2018 წლის 23 მაისს წარვუდგინე ერთ რედაქციას, მაგრამ მისმა ერთ-ერთმა მორიგე რედაქტორმა ისე დაიწუნა, მიზეზიც არ აუხსნია!..

ამის მიუხედავად, მაინც ვბედავ მის გამოქვეყნებას კარს მომდგარი საქართველოს მწერალთა კავშირის ყრილობის წინ, თანაც სწორედ თქვენს გაზეთში, ვინაიდან პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური ქარტეხილების მიუხედავად, ბევრი არალიტერატურული გაზეთისგან განსხვავებით „საქართველოს რესპუბლიკა“ თავის ფურცლეზე ჩვენს მწერლობასაც ჯეროვან ადგილსა და ყურადღებას უთმობს. ამას კი ქართული ლიტერატურის მატიანე კარგად დაიმახსოვრებს და არასოდეს დაივიწყებს!..

ბატონო სპარტაკ, მაშ, გამოიჩინეთ თქვენი ჩვეული გულისხმიერება და უცვლელად დამიბეჭდეთ ეს წერილი. მის მაშინდელ დამწუნებელს კი შეგნებულად არ ვასახელებ, ვინაიდან ეს მისდამი უნდობლობა და იძულება გამოვა. სახალხოდ კი მუხლმოყრით შევთხოვ: თავისთან საამისო ადგილი თუ არ გაემეტება, მაშინ ამავე „საქართველოს რესპუბლიკაში“ ეს ჩემი წერილი ისე გააკრიტიკოს, თუგინდ მიწასთან გაასწოროს!

ამას ასე გაბედულად იმიტომ ვიხვეწები, მტკიცედ მწამს: ამ შემთხვევაში ჩვენ შორის არ იქნება გამარჯვებულ-დამარცხებული ამ სიტყვების პროვინციული გაგებით და გაიმარჯვებს მხოლოდ პირუთვნელი პაექრობისას დაბადებული ლიტერატურული ჭეშმარიტება, რაც ასერიგად აკლია დღევანდელ ქართულ მწერლობას.

იმედს ვიტოვებ, ნანიშნი ოპონენტი მკითხველი საზოგადოების მოლოდინს არ გააწბილებს!!!

კეთილი სურვილებით
ჯემალ მეხრიშვილი,
თბილისი 12.06.2019 წ.

რედაქტორის მინაწერი: ჩვენი გაზეთი ხელმძღვანელობს რა დემოკრატიული პრესის პრინციპებითა და ღირებულებებით, უცვლელად ვბეჭდავთ მწერლის ხსენებულ წერილს, ოღონდ უკომენტაროდ, ვინაიდან აქ გადამწყვეტი იქნება მკითხველი საზოგადოების შეუმცდარობა.

სპარტაკ ქოზულია

ფიქრები ლიტერატურაზე

იხ. 6-7 გვ.

ზაურ ნაჭყებია:

რა გვიქნა „ცოტა გამაბედინეს“ ნაყრუებამ?!

4

დავით ზარდიაშვილი:

ზნეობის ასე გამარტივება, ბოდიში და, პედერასტებთან ომამდე დაყვანა, სწორედ ზნეობის დისკრედიტაცია და ღირებულებების გავულგარულებაა

5

ახალი საკანონმდებლო კანონი, სამშენებლო ამნისტია, ახალი მშენებლობები, ცხოვრების ჯანსაღი წესი და საკადრო ცვლილებები დედაქალაქში

3

მასკარადი „ბენ-გურიონში“

ქართველი არალეგალების ისრაელში შეღწევის ახალი მეთოდი

9

„ფოთის პორტი მნიშვნელოვანი ლოჯისტიკური ობიექტია, თუმცა ჩვენი პრიორიტეტი არის ანაკლია“

„ყველანაირი სპეკულაცია არის აბსურდი, ჩვენთვის ფოთის პორტი წლების განმავლობაში არის და ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი ლოჯისტიკური ობიექტი, ჩვენი კარიბჭე. თუმცა ასევე ვამბობთ, რომ როდესაც საუბარია ახალ ღრმაწყლოვან ინფრასტრუქტურაზე, ჩვენი პრიორიტეტი არის ანაკლია. ჩვენ ანაკლიას ვუჭერთ მხარს ინფრასტრუქტურის ღრმაწყლოვანი საპორტო შეესაძლებლობების განვითარების თვალსაზრისით. ფოთის პორტთან გავაგრძელებთ თანამშრომლობას იმიტომ, რომ ბევრი სხვა განვითარების გეგმა უკავშირდება ფოთის პორტს“ — განაცხადა ნათია თურნავამ.

იგეგმება მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლების ელექტრიფიცირება

მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლების — ხალდისა და ჰეშკილის ელექტრიფიცირება იგეგმება. მთავრობის განკარგულების მიხედვით, ამ მიზნით ელექტროგადამცემი ხაზი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა მოეწყობა.

სამუშაოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 2019 წლის ბიუჯეტიდან დააფინანსებს. პროექტი რეგიონში ტურისტული ობიექტების განვითარებას შეუწყობს ხელს.

მკვლელობის მომზადების საქმეზე დაკითხულმა ექსპერტმა დაადასტურა!

ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების საქმეზე დაკითხულმა ექსპერტმა დაადასტურა, რომ საქმის მთავარ მტკიცებულებაზე, აუდიოჩანაწერზე, სადაც გამოძიების მტკიცებით, ბიზნესმენის მკვლელობას გეგმავენ, ამ საქმეზე ბრალდებული და ფიგურანტი პირები საუბრობენ. ექსპერტ ასმათ მატუშევსკაიას ჩვენების მიხედვით, ეს ჩანაწერი ავთენტურია და დადასტურებულია, რომ ის უწყვეტ საუბარს წარმოადგენს.

საუბარია საქმეში არსებულ ორ აუდიოჩანაწერზე, რომელიც საქმეში დევს. ერთ ჩანაწერში კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსანი „მასტერა“, იგივე გიორგი დგებუაძე ბადრი პატარკაციშვილის დაცვის თანამშრომელს ბიზნესმენის მზარეულების სიას და მის სასახლეში კამერების განლაგებას სთხოვს, ხოლო მეორე ჩანაწერში, რომლის მონაწილე ასევე გიორგი დგებუაძეა, ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მზადების საქმეზე ბრალდებულები, ლევან ქარდავა, რევაზ შიუკაშვილი და გიორგი მერებაშვილი ბიზნესმენის ლიკვიდაციის გეგმაზე საუბრობენ.

„2016 წლის 10 დეკემბერს ჩავატარე ექსპერტიზა, ჩანაწერებზე და ხმის ნიმუშებზე. ექსპერტიზის დასკვნით, დივიდი დისკზე არსებულ აუდიოჩანაწერებზე არ აღინიშნება მონტაჟის კვალი, ასევე, ერთ ჩანაწერში საუბრობენ მამუკა შაროვი და გიორგი დგებუაძე. მეორე ჩანაწერში კი, ხმები შეესაბამება გიორგი დგებუაძის, გიორგი მერებაშვილის, ლევან ქარდავასა და რევაზ შიუკაშვილის ხმის ნიმუშებს“, — განაცხადა ექსპერტმა.

ნავერიანი გვარამიას დაკითხვას ითხოვს

მთვარისა ნავერიანი შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართავს და „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას დაკითხვას სთხოვს. **მთვარისა ნავერიანსა და „რუსთავი-2“-ის გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას შორის 2018 წლის 31 მაისს პროკურატურასთან, ზაზა სარალიძის მხარდამჭერ აქციაზე, დაპირისპირება მოხდა.**

მთვარისა ნავერიანი ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის დირექტორის მიმართ სამართლებრივი მოქმედებების დროულად გატარებას ითხოვს.

ნავერიანის თქმით, პროკურატურამ დაადასტურა, რომ მასზე გვარამიამ ფიზიკურად იძალადა, თუმცა ერთ წელზე მეტია, ტელეკომპანიის დირექტორი არ დაკითხულა.

სტილის მრავალფეროვნება და გაუმჯობესებული ხარისხი

ქართული ღვინის ხარისხის მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით, კიდევ უფრო გაუმჯობესებულია, — ამის შესახებ იაპონიაში ერთადერთმა ღვინის მაგისტრმა კენიჩი ოჰაშიმ თბილისში გამართული ქართული ღვინის დეგუსტაციის შემდეგ განაცხადა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანია „რედ ბრიჯის“ (Red Bridge) ხელმძღვანელი, ღვინის მაგისტრი კენიჩი ოჰაში საქართველოში იაპონელი ღვინის იმპორტიორებისა და სომელიეების ჯგუფთან ერთად იმყოფებოდა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ტურის ფარგლებში სტუმრები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს კახეთსა და ქართლში ეწვივნენ, სადაც ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიას ადგილზე გაეცნენ. თბილისში ასევე გაიმართა სხვადასხვა კომპანიის ღვინის დეგუსტაცია, სადაც ღვინის პროფესიონალებმა 27 ღვინის კომპანიის სხვადასხვა სახეობის 100-მდე ღვინო დააგემოვნეს.

„ქართული ღვინის ხარისხის მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით, კიდევ უფრო გაუმჯობესებულია. მეტად იგრძნობა სტილის მრავალფეროვნება, რაც ნიშნავს, რომ მწარმოებლები მიზნად ისახავენ მაღალი სტანდარტების დანერგვას როგორც ხარისხის, ისე გლობალური ბაზრისთვის საინტერესო და განსხვავებული პროდუქტის შექმნის კუთხით“, — აღნიშნა კენიჩი ოჰაშიმ.

ქართული ღვინო კვლავ პირველია

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ევროკავშირის მდგრადი ენერგეტიკის ჯილდოს მფლობელი ქართული ღვინის კომპანია „შილდა“ გახდა. **გამარჯვებული კომპანიის დასახელება და დაჯილდოების ცერემონია 18 ივნისს ბრიუსელში გაიმართა.**

ევროკავშირისა და ევროპის ბანკის მიერ მხარდაჭერილ პროექტში „კავკასიის ენერგოეფექტური პროგრამა“ მონაწილეობით, ღვინის კომპანია „შილდამ“ ღვინის წარმოების „ეკომეგობრული“ პროცესების დანერგვა 2016 წელს დაიწყო. ამით ის რეგიონში პირველი ენერგოეფექტური ღვინის საწარმო გახდა. დღე-

ისათვის საწარმო 60%-ით ნაკლებ ელექტროენერგიას მოიხმარს და ყოველწლიურად ელექტროენერგიის გადასახადებზე 60 ათასზე მეტ ევროს ზოგავს .

მდგრადი ენერგეტიკის დაჯილდოების პროექტში 6 ქვეყნის 50-ზე მეტი საწარმო მონაწილეობდა. შერჩევისას ჟიურიმ დაასახელა 6 ფინალისტი, რომელთა შორის მოხვდა „შილდა“. ფინალისტებს შორის გამარჯვებულის გამოვლენა კი ონლაინ ხმის მიცემის რეჟიმში 2 კვირის მანძილზე მიმდინარეობდა.

„ევროკავშირის მდგრადი ენერგიის ჯილდო“ აღმოსავლეთ პარტნიორობისთვის ევროკავშირის „მდგრადი ენერგიის კვირეულის“ ნაწილია და აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყანაში (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა) პირველად ჩატარდა. ღონისძიება მიზნად ისახავს ენერგოეფექტური, განახლებადი ენერგიის პროექტების მხარდაჭერას, რომელიც ხელს უწყობს ენერგიის დაზოგვას.

ფინანსთა მინისტრი საბანკო რეგულაციების შერბილებას ელოდება

ფინანსთა მინისტრს იმედი აქვს, რომ ახლო მომავალში ვითარება შეიცვლება და საბანკო რეგულაციები შერბილდება. ამასთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში ხშირად საუბრობენ, თუმცა კონკრეტულ ნაბიჯი ეროვნული ბანკის მხრიდან არ იდგმება.

ივანე მაჭავარინის თქმით, საბანკო რეგულაციებით სებ-მა ქართულ ფინანსურ სისტემას დაადო ჯავშანი, რომელიც მას მრავალი შესაძლო მსხვილი პრობლემებისგან დაიცავს. თუმცა ეს ჯავშანი საჭიროზე ძლიერი აღმოჩნდა, რადგან ქვეყანაში ასეთი სახიფათო მდგომარეობა არ არსებობდა.

„იმედი მაქვს, რომ რეგულაციები შერბილდება. თქვენ იცით, რომ დასაწყისშივე, ამ რეგულაციების მაინცდამაინც მხურვალე მხარდამჭერი არ ვიყავი. აქვე უნდა გაესვას ხაზი, რომ ეროვნული ბანკი დაკომპლექტებულია უმაღლესი ხარისხის პროფესიონალებით და ის მოტივაცია, რატომაც ეს გააკეთეს, არის ის, რომ ქართული ფინანსური სისტემა უფრო დაცული იყოს.

ჩვენს ხედვებს შორის სხვაობა ისაა, რომ ჩემი აზრით, ამ რეგულაციებით სებ-მა ქართულ ფინანსურ სისტემას დაადო ჯავშანი, თანაც იმგვარი ჯავშანი, რომლის ადეკვატური კალიბრის ყუმბარები აქ არ ცვივა. შესაბამისად, ზედმეტი დაცულობა და დიდი ჯავშანია. უბრალოდ, ეს უფრო ხარჯიანია და უფრო მძიმე სატარებელია, იმ რისკების პროპორციული არ არის, რაც შეიძლება მოხდეს, თუმცა პრაქტიკულად, სამომავლო რისკებს ანულებს, მაგრამ ამის ფასს იმითვიხდით, რომ ეს ცოტა უფრო მძიმე სატარებელია“, — განაცხადა მინისტრმა.

სებ-ის ზედმეტად მკაცრ პოლიტიკას არ იწონებდნენ ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკებში“. მისი დამფუძნებელი **გიორგი კეპულაძე** ამბობს, რომ კომერციულ ბანკებში ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა ძალიან დიდი არც რეგულაციების ამოქმედებამდე იყო და ძირითადად ე.წ. პრობლემური კლიენტები ონლაინ სესხებს ჰყავდათ.

„არა მხოლოდ ვადაგადაცილებული სასესხო პორტფელი, ზოგადად, დაკრედიტება შემცირებულია, რაც იყო კიდეც ამ რეგულაციების მიზანი. იმედია, საქმე არ გვექნება მთლიან შემცირებასთან, რაც ეკონომიკისთვის არ იქნება მარტივად გადასატანი. ის ადამიანები, ვინც ვერ იღებენ სესხს, რჩებიან უკმაყოფილო მომხმარებლებად, თუ თანხის მიღება მათთვის გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს. ისინი ინაცვლებენ კერძო გამსესხებლებთან.

ძირითადი პრობლემები გროვდებოდა ონლაინ საკრედიტო ორგანიზაციების ხარჯზე, სესხის გაცემის სიმარტივისა და მაღალი პროცენტის გამო. ძირითადად ამით იყო განპირობებული რეგულაციების აუცილებლობა. შედეგად კი შემცირდა სამომხმარებლო პორტფელი და ძალიან ბევრ ტექნიკის მაღაზიასა და თვითდასაქმებულს შეექმნა პრობლემები“, — აღნიშნა კეპულაძემ.

თავის მხრივ, ბიზნესი მოუთმენლად მოელის რეგულაციების შერბილებას და მათ შორის ერთ-ერთი მთავარი სამშენებლო სექტორია. კომპანია „არსის“ აღმასრულებელი დირექტორი თორნიკე აბულაძე აცხადებს, რომ მცირდება სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და ეს პირდაპირ მიბმულია თბილისის მერიის მიერ გაცემულ ნებართვებზე და საბანკო რეგულაციებზე. თუ ასე გაგრძელდა, მოსალოდნელია რამდენიმე თვეში სამსახურის გარეშე დარჩენილი ადამიანების რაოდენობა 20000-მდე გაიზარდოს.

„ის, რომ 4000 კაცით ნაკლები მუშაობს ამ სფეროში, სრულიად გასაგებია. მგონია, რომ ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზრდება. თუ საბანკო და სამშენებლო რეგულაციები არ შერბილდება, შეიძლება, სამსახურის გარეშე დარჩენილი ადამიანების რაოდენობა 20 ათასამდე გაიზარდოს. ჩვენს სფეროში ეკონომიკური აქტივობა კლებულობს, შესაბამისად, დასაქმებულთა რიცხვიც დაიკლებს. როდესაც დაკვეთა არის ის, რომ მშენებლობები უნდა შემცირდეს, ამას მოჰყვება ნაკლები სამუშაო ადგილი და ნაკლები ეკონომიკა“, — განაცხადა აბულაძემ.

ბექა დანელია

ახალი საკანონმდებლო კანონი, სამშენებლო ამნისტია, ახალი მშენებლობები, ცხოვრების ჯანსაღი წესი და საკადრო ცვლილებები დედაქალაქში

დედაქალაქის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა.

კერძოდ, აღნიშნა, რომ დედაქალაქში უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებით ახალი საკანონმდებლო პაკეტი მომზადდა, რომლის მიხედვითაც, სამშენებლო კომპანიებს დარღვევების შემთხვევაში, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ.

„არ დავმალავ და ვიტყვი, რომ მუნიციპალიტეტი არცთუ ისე ძლიერია ასეთი ტიპის დარღვევების აღკვეთის კუთხით, ვინაიდან, პასუხისმგებლობის სისტემა, რომელიც დღეს საქართველოში და დედაქალაქში მოქმედებს, მაინც უშვებს მშენებლების მხრიდან სამშენებლო სამართალდარღვევებს და არაკეთილსინდისიერი კომპანიები, ამა თუ იმ გზით, პირდაპირ თუ ირიბად, მაინც ახერხებენ სამშენებლო დარღვევების ხარჯზე ეკონომიკური სარგებლის მიღებას. ამის არაერთი მაგალითი შემიძლია მოვიყვანო. ეს ჩვენ ვნახეთ ყოველდღიურობაში, თუ რამდენად დიდ პრობლემას წარმოადგენს ქალაქის ურბანული განვითარებისთვის და ა.შ. შესაბამისად, მე დავავალე დედაქალაქის ვიცემერს ირაკლი ხმალაძეს და მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად, ამ კანონპროექტზე მუშაობა რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა ასევე, მოსახლეობას მიმართა და აღნიშნა, რომ უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებით პირველი ნაბიჯები გადაიდგა, რითაც ჯარიმების ოდენობა გაათმაგდა.

„როგორც ჩანს, ჯარიმის ოდენობა ყოველთვის კონკურენციაშია იმ პოტენციურ ეკონომიკურ სარგებელთან, რომელსაც არაკეთილსინდისიერი სამშენებლო კომპანიები დარღვევებით მშენებლობის დროს იღებენ. ჩვენთვის მთავარი ამოცანაა, დედაქალაქის მოსახლეობისთვის ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს შექმნა, ქალაქის ურბანულად სწორად განვითარება. მიგვაჩნია, რომ არც ერთი ჯარიმა და მის ხარჯზე ბიუჯეტში შესული თანხები არ არის იმ ზიანის ტოლფასი და შესაბამისი, რომელსაც სამშენებლო დარღვევების შედეგად ზოგიერთი სამშენებლო კომპანია ქალაქს აყენებს. აქედან გამომდინარე, იძულებული გავხდით, მიგვეღო გადაწყვეტილება და ამ პროცესების რადიკალიზაცია მოგვეხდინა. ეს ცვლილებები ზოგიერთ სამშენებლო დარღვევებზე სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. აქამდე კი ადმინისტრაციული სასჯელი იყო. დარწმუნებული ვარ, ეს საკანონმდებლო ცვლილებები, გარკვეულწილად, მოხსნის ყველა იმ პრობლემას, რომელიც დღეს ქალაქში გვაწუხებს. კონკრეტულად, სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს K1 და K2 პარამეტრების დარღვევა; სიმაღლის პარამეტრის დარღვევა; უნებართვო მშენებლობა; მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული, მშენებლობის შეჩერების შესახებ აქტის შეუსრულებლობა, რაც ნიშნავს ამ აქტისადმი დაუმორჩილებლობას და მშენებლობის უკანონოდ გაგრძელებას“, — განაცხადა კახა კალაძემ.

საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, დასრულებული, თუმცა ექსპლუატაციაში მიუღებელი საცხოვრებელი შენობა-ნაგებობებისთვის თბილისის მერია ამნისტიას აცხადებს.

თბილისის მერის თქმით, ექსპლუატაციაში შევა ყველა შენობა-ნაგებობა, რომელსაც სამშენებლო დარღვევები 2019 წლის 16 მაისის მდგომარეობით უფიქსირდებოდა, თუმცა აქვე განსაზღვრულია გამონაკლისებიც.

„ამნისტია არ შეეხება ისეთ დარღვევებს, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხოებასა და ქალაქის ვიზუალურ სტანდარტთან, თუმცა შეეხება ისეთ დარღვევებს, რომელთა გამოსწორებაც ფიზიკურად უკვე შეუძლებელია“, — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

მისივე თქმით, სამომავლოდ, ანალოგიური დარღვევები სისხლის სამართლის დანაშაული იქნება.

თბილისის მერმა დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე სამშენებლო რეგულაციების მიმართულებით კიდევ ერთ საკანონმდებლო ინიციატივაზე ისაუბრა. კერძოდ, ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ახალი საკანონმდებლო ინიციატივით, აღდგება 2009 წელს გაუქმებული ის ნორმა, რომლის საფუძველზეც, დასრულებულ მშენებლობაში, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების გარეშე მოქალაქეები ვერ შესახლდებიან.

„სამწუხაროდ, ჩვენ დღეს ვართ იმ სამართლებრივ მოცემულობაში, როცა შეუძლებელია ექსპლუატაციაში მიუღებელი კორპუსებიდან მოსახლეობის გამოყვანა. მიგვაჩნია, რომ მინიმუმ ის მაინც უნდა გავაკეთოთ, რომ მომავალში, როდესაც მშენებლობის ახალ ნებართვებს გავცემთ, დასრულებულ შენობაში მხოლოდ მას შემდეგ მოხდეს მოქალაქეების შესახლება, რაც ის ექსპლუატაციაში იქნება მიღებული“, — აღნიშნა თბილისის მერმა.

კახა კალაძის განცხადებით, თბილისის მერია მტკვრის მარჯვენა სანაპიროს 700-მეტრიანი მონაკვეთის გზის საფარის მოწესრიგებასაც იწყებს. საგზაო სამუშაოები გალაკტიონის ხიდიდან „ლაგუნა ვერესთან“ არსებულ პანდუსამდე განხორციელდება.

„გზის საფარი პირველ რიგში მოიფრეზება. რადგან ბევრი ავტომობილი გადაადგილდება და ქალაქში ბევრი სხვა ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება, არ გვინდა, მძღოლები კიდევ შევაყოვნოთ. ამიტომ, სამუშაოები ღამის საათებში განხორციელდება. ათი დღე დასჭირდება ამ სამუშაოების ჩატარებას და პროექტის ღირებულება დაახლოებით, 900 ათასი ლარია“, — განაცხადა კახა კალაძემ.

გარდა ამისა, თბილისის მერმა გარბენი „თბილისის“ შესახებ ისაუბრა, რომელიც დედაქალაქში 23 ივნისს გაიმართება. წელს გარბენი პირველი რესპუბლიკის მოედნიდან დაიწყება და ორბელიანის ახლადრეაბილიტირებულ მოედანზე დასრულდება.

თბილისის მერმა გარბენში მონაწილეობისკენ პირველ რიგში, დედაქალაქის მთავრობის წევრებს და ჯანსაღი ცხოვრების წესით დაინტერესებულ ყველა ადამიანს მოუწოდა.

„ჩვენთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია ძალიან მნიშვნელოვანია. ამ მიმართულებით, ქალაქის მასშტაბით არაერთ მნიშვნელოვან პროექტს, ასევე, მუნიციპალური მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსების მშენებლობას ვახორციელებთ. გვინდა, მსგავსი სპორტული სივრცეები ყველა რაიონში არსებობდეს. გარდა ამისა, სკვერებში ვამონტაჟებთ სავარჯიშო მოწყობილობებს. ამის საუკეთესო მაგალითია გოძიაშვილის სახელობის პარკი, სადაც სპორტით ყველა თაობის ადამიანია დაკავებული. გახსოვთ ალბათ, რომ შარშან გაიმართა გარბენი „თბილისი“, რომელშიც მონაწილეობა ბევრმა სპორტსმენმა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მოყვარულმა მოქალაქემ მიიღო. წელს, 23 ივნისს, ამ გარბენის ჩატარებას ვგეგმავთ. რა თქმა უნდა, მასში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია დაიწყება 09:00 საათიდან, ხოლო გარბენი — 10:00 საათზე“, — განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა მთავრობის სხდომაზე ყურადღება საკადრო ცვლილებებზეც გაამახვილა და აღნიშნა, რომ თბილისის განვითარების ფონდის ხელმძღვანელი გიორგი ბაიდარაშვილი თანამდებობას ტოვებს. ის საქმიანობას კერძო სექტორში განაგრძობს.

მისივე თქმით, თბილისის განვითარების ფონდს ალექსანდრე ტოგონიძე უხელმძღვანელებს, რომელიც დედაქალაქის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობას იკავებდა. რაც შეეხება ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის პოზიციას, მას გიორგი ებანოიძე დაიკავებს, რომელიც ამავე სამსახურში უფროსის მოადგილედ მუშაობდა.

თბილისში ახალი სასტუმრო გაიხსნა

54-ნომრიანი სასტუმრო „სოლე პალასი“ ძველ თბილისში ცურტაველის ქუჩაზე მდებარეობს. სასტუმროში ფუნქციონირებს საკონფერენციო დარბაზი, ტერასული რესტორანი და ბარი.

სასტუმროს გახსნას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მარიამ ქვრივიშვილი დაესწრო.

„დედაქალაქს შეემატა კიდევ ერთი ძალიან ლამაზი ოთხ ვარსკვლავიანი სასტუმრო. ძალიან მოხარული ვართ, რომ ჩვენს სექტორში მეტი ინვესტიცია ხორციელდება, რაც ხელს უწყობს დასაქმებას ტურიზმის

სფეროში“, — განაცხადა მარიამ ქვრივიშვილმა. ახალ სასტუმროში 57 ადამიანია დასაქმებული.

ძლიერმა წვიმამ პრობლემები შექმნა

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უამინდობის გამო შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს.

„თბილისში მოსული უხვი ნალექის გამო, „გადაუდებელი დახმარების ოპერატიულ მართვის ცენტრ — 112-ში“ მთელი ღამის განმავლობაში 60-ზე მეტი შეტყობინება შემოვიდა. შეტყობინებების უმრავლესობა საცხოვრებელი სახლების და შენობების პირველი სართულების დატბორვას ეხებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველები ყველა შეტყობინებაზე რეაგირებდნენ. მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა და დღისითაც გაგრძელდა ამოტუმბვის სამუშაოები. შეტყობინებები, ასევე, შემოვიდა რამდენიმე ხის წაქცევასთან დაკავშირებით. ასევე, რამდენიმე მისამართზე დაფიქსირდა მიწის ჩამოშლა. ადგილზე მობილიზებულები იყვნენ სამაშველო და მერიის შესაბამისი სამსახურები. შედეგად არავინ დაშავებულა.

ძლიერი წვიმის გამო ყველაზე მეტი გამოძახება ვაკე-საბურთალოს, გლდანი-ნაძალადევის და ისანი-სამგორის რაიონში განხორციელდა. ასევე, მიმდინარეობს თბილისის მდინარეების: ვერე, დიღმის წყალი, გლდანის ხევი, ლეღვთა ხევი, კრწანისის ხევი, ორხევი, ვარაზის ხევი, ხევძმარის წყლის დონის მონიტორინგი. სიტუაცია თბილისის მდინარეებზე სტაბილურია და კონტროლს ექვემდებარება“ — აღნიშნულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ცხრა პირმა მუშაობა დაიწყო

დასაქმებულებს სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილე ლევან გოგოძე და „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენლები შეხვდნენ.

შრომის ბაზრის მართვის სისტემის ვებგვერდზე (worknet.gov.ge) დარეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები პოტენციურ დამსაქმებლებს, 2019 წლის გაზაფხულზე, „თბილისი მოლში“, სპეციალურად მათთვის გამართულ დასაქმების ფორუმზე შეხვდნენ და გაესაუბრნენ. მათ რეკომენდაცია არასამთავრობო ორგანიზაცია „ანიკამ“ და „ყრუთა კავშირმაც“ გაუწიეს.

დასაქმების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამების საშუალებით, 2014 წლიდან დღემდე, უკვე 300-ზე მეტი შშმ პირი დასაქმდა და ეს რიცხვი ყოველწლიურად იზრდება.

გარყვნილებას ადამიანის უფლებად ნუ მოვნათლავთ!

ეს პირდაპირი ძალადობაა!

თავს **ვალდებულად ვთვლით, საქართველოს საზოგადოებას მოგახსენოთ ჩვენი მოსაზრება ქვეყანაში შექმნილი მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და იმ საშვილიშვილო უბედურების შესახებ, რომელსაც ჩვენი ქვეყნის შეგნებული ან შეუგნებელი მტრები გვიმზადებენ!**

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: მსოფლიოს განვითარების ჰუმანისტური პროცესი, რომლის რიგითი მონაწილენი ჩვენც, ქართველი პატრიოტები და ადამიანის ადამიანურ უფლებათა (Human Rights) დამცველნი ვართ, არ არის დაზღვეული შეცდომებისგან, სახელდობრ, იმგვარი შემთხვევებისგან, **როცა დემოკრატიული ახალი ლოზუნგი მისი შექმნის პროცესშია, არასწორად გაიგება ან რეალურად უპირისპირდება ხალხის ფართო მასის ტრადიციულ ზნეობრივ რწმენებს და მოთხოვნილებებს**.

დღეს, ჩვენი აზრით, საქართველოში ამგვარი სახის შეცდომის საშიშროება არსებობს, რომელმაც შესაძლებელია მძიმე შედეგი მოიტანოს არა მხოლოდ სადღეისოდ, არამედ მომავალ თაობებშიც.

დემოკრატიის ერთ-ერთი ნორმა, რომლის გამარჯვებასაც ისტორიულად მრავალი ჩვენი თანამემამულე გამოჩენილი მოღვაწეებისა და რიგითების სისხლი შეეწირა, ის გახლავთ, რომ ადამიანს უფლება აქვს, თავისი აზრი საჯაროდ გამოთქვას. ბუნებრივია, სხვებს უფლება აქვთ, მას შეეკამათონ და ამ გაგრძელებული კამათის შედეგი იქნება წინსვლა ჭეშმარიტების მიზნის გზაზე. ასევე უფლება აქვთ ე.წ. „ლგბტ“ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ განზრახვა თბილისში ჩაატარონ გეი-პარადი, ანუ თავისი რწმენა, შეხედულება და გემოვნება მოქმედებაში გამოხატონ.

რატომ არ აქვთ ამის უფლება ხსენებულ ორგანიზაციებს?

იმიტომ, რომ მათი მოქმედების ხედი ანტიპედაგოგიურია, იგი ეწინააღმდეგება მოზარდ თაობათა აღზრდის იმ შეუვალ და კატეგორიულ მოთხოვნებს, რომლებიც ძალაში არიან პედაგოგიკაში, როგორც მეცნიერებაში და მომავლის მთელ ხილულ პერსპექტივაში ძალაში იქნებიან (შევნიშნავთ, გაეროსა და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციების არცერთ დოკუმენტში, რომლებიც სქესობრივი ქცევის ნორმებს ეხება, რამდენადაც ვიცით, არ არის მითითება ან მინიშნება რაიმე მეცნიერულ საფუძველზე, რომელიც განაპირობებდეს ახლებურ, ამჟამად თბილისში კოლოსალური თანხებით დაფინანსებულ დამოკიდებულებას მოკვდავთა ხსენებული ცოდვისადმი). ამ ცოდვის დეკრიმინალიზაცია, რა თქმა უნდა, სულ სხვა თემაა. ხსენებული დეკრიმინალიზაცია, ჩვენი აზრით, სამართლებრივი კვლევის განვითარების ბუნებრივი და უალტერნატივო შედეგია. არის საზოგადოების შეურაცხყოფის იმგვარი ფორმები, რომელთა მოთმენის უფლება საზოგადოებას არა აქვს. ის, რაც იგეგმება, ერთი ამ ფორმათაგანია!

არსებითია ისიც, რომ ქრისტიანობა აძლევს ადამიანს თავისუფალი არჩევანის უფლებას, ანუ უფლებას, რომ მან თვითონ აირჩიოს თავისი ცხოვრების წესი (მით უმეტეს, რომ ცნება „ცოდვა“ არ გამოიყენება იმ ადამიანების ქმედებების მიმართ, რომლებიც თავისი ნებით უარს აცხადებენ, ეკუთვნოდნენ ქრისტიანულ სამყაროს), მაგრამ ამავე დროს იტოვებს უფლებას, რომ ზოგიერთი ქმედება თავისთვის ცოდვად მიიჩნიოს. დღევანდელი „ფსევდოლიბერალები“ კი მოითხოვენ, ყველამ, მიუხედავად აღმსარებლობისა, უპირობოდ აღიაროს ის, რაც მათს რელიგიურ შეხედულებებს ეწინააღმდეგება — აღიარონ ცოდვა ადამიანის ჩვეულებრივ მდგომარეობად!

ეს პირდაპირი ძალადობაა!!!

ამასთანავე, მოითხოვენ განსაკუთრებულ პატივისცემასა და პრეფერენციას სხვისგან მხოლოდ იმის გამო, რომ განსხვავებული არიან და არა მათი ადამიანური უნარჩევებისა ან გამორჩეული შემოქმედებითი შესაძლებლობების გამო, ანუ მოითხოვენ გამორჩეულ საჯარო ყურადღებას გამორჩეული პოზიტიური პირადი მახასიათებლების უქონლობის პირობებში.

ესეც პირდაპირი ძალადობაა!

გააპროტესტებ ძალადობასა და ცოდვის გავრცელების სტიმულირებას და საქმეში ჩართავენ ადმინისტრაციულ რესურსსა და მედიას და, მოძალადედ დაზარალებული გამოჰყავთ. შუა საუკუნეების ფუნდამენტალისტის, ანტიდემოკრატისა და „მართლმადიდებლური ირანის“ იმიჯი გარანტირებული გაქვთ.

თავს უფლებას ვაძლევთ, ვახსენოთ კიდევ ერთი მაგალითი საჯარო სივრცისადმი პედაგოგიური მიდგომის საჭიროებისა, როცა დედას, დეიდას, მამიდას, ბებიას, დედინაცვალს, ბავშვი საჯარო სივრცეში გამოჰყავს, ბავშვს ურყევად უნდა სჯეროდეს, რომ ყველაფერი რაც იქ ხდება, დედასაც ესმის და, შესაბამისად, ყველაფრის საჭირო სახით წარმართვის რაღაც შესაძლებლობაც აქვს.

ნოდარ ნათაძე,
მამუკა გიორგაძე,
პაატა კოლუაშვილი
16.06.2019

რა გვიქნა „ცოტა გამაბედინეს“ წაყრუებამ?!

ჯერ კიდევ 2012 წელს, წინასაარჩევნოდ ვწერდი: ჩვენი №1 ამოცანა სააკაშვილის რეჟიმის მოშორებაა, მაგრამ ისე ნუ ვიზამთ, ახალი ხელისუფლება ყოველგვარი წინაპირობების გარეშე მოვიყვანოთ-მეთქი! მაშინ ბევრს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ჩემი გაფრთხილება — „ოლონდ სააკაშვილი არა“-ს ლოზუნგმა ყველაფერი გადაფარა!

უფრო კონკრეტული რეკომენდაციები მქონდა 2013 წელს, როცა ეიფორიაში მყოფმა საზოგადოებამ ვერ გააცნობიერა, თუ რას ნიშნავდა კოჰაბიტაცია და თუ ვინმემ გააცნობიერა, სერიოზული პროტესტი არც გამოუხატავს...

მაშინ ხაზგასმით ვწერდი, რომ **ბიძინა ივანიშვილს რაც არ უნდა კარგი ჩანაფიქრი ჰქონოდა, რაც არ უნდა ეროვნული გრძნობით ყოფილიყო დამუხტული, საკუთარ თავს ვერ გადაახტებოდა — ის იძულებული გახდებოდა, უსიტყვოდ შეესრულებინა გარედან თავსმოხვეული ყველა დავალება, თუ ხალხისგან ანტიქართული ინიციატივების შემაკავებელი ულტიმატუმი არ წამოვიდოდა**.

სხვათაშორის, ხალხის ხმას რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, 2012 წლის არჩევნების შედეგმაც დაადასტურა, როცა სააკაშვილი იძულებული გახდა, დამორჩილებოდა საზოგადოების განწყობას და ეღიარებინა დამარცხება!

ადრეც მითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ: **საქართველო „ცოტა გამაბედინეს“** (უხამსობას მოვერიდები, მაგრამ, კონტექსტი იგივეა) **სინდრომმა დაღუპა: როცა განგაშის ზარი უნდა დაგვერისხებინა ან ვდუმდით, ან ჩვენი რეაქცია კომპიუტერის კლავიშის კაკუნს არ სცილდებოდა...**

დიახ, საყდრისი ააფეთქეს და გადავყლაპეთ, „კაზანტიპი“ შემოგვბედეს და თითქოს არაფერი — „მუსიკალურ ფესტივალად“ გაასაღეს და ჩვენც დავიჯერეთ, ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღეს და ლევან ვასაძის იმედზე დავრჩით, რომელიც პარლამენტარების ქეჩოში ხელის ჩავლებით და პარლამენტიდან მათი გამოყრით იმუქრებოდა (თუმცა, მუქარა მუქარად დარჩა, კანონი კი გრიალით მიიღეს), უცხოელებზე მიწებს „უპრაგონოდ“ ჰყიდდნენ და ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანმა პრობლემამაც ვერ გამოგვაღვიძა და გაგვაერთიანა (მოსასწრები უკვე მოასწრეს), „იუვენალურ იუსტიციაზე“ კანონი მიიღეს და თითქოს არაფერი მომხდარა, სკოლაში აღვირახსნილობის პროპაგანდას აკანონებენ (უფრო სწორად, დაკანონეს) და განგაშის ზარი არ დაგვერისხებია, ახლა დავით გარეჯის გარშემო ხელოვნურად აგორებულმა ციებ-ცხელებამ იჩინა თავი და ურთიერთგამომრიცხავი ინიციატივებით შემოვიფარგლეთ. პრობლემა კი პრობლემად რჩება!

თუმცა, დავით გარეჯიც არ გახდა საკმარისი, რომ უფრო გლობალური პრობლემა მიეჩქმალათ — მხედველობაშია ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა, რომლის შეჩერების გამო ამერიკამ თითი უკვე დაგვიქნია. მართალია, ოფიციალურად არავინ ადასტურებს, მაგრამ, არსებობს ვარაუდი, რომ ანაკლიაში სამხედრო დანიშნულების პორტი უნდა აშენდეს, რაც რუსეთის ინტერესებში ნამდვილად არ შედის!

ეტყობა, დავით გარეჯიც არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ ანაკლიის თემა ბოლომდე გადაფარულიყო...

სწორედ ამიტომ დადგა დღის წესრიგში ლგბტ პრაიდის ჩატარების აუცილებლობა თბილისში, მაინცდამაინც დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე, რომელმაც, როგორც მოსალოდნელი იყო, საზოგადოების მნიშნელოვანი ნაწილის ვნებათაღელვა გამოიწვია. საქმე ეხება გეიაღლუმის ჩატარებას, რომელიც სოდომ-გომორის ცოდვასთან ასოცირდება...

მე ადრე **ლევან ვასაძე** ვახსენე, რომელიც ანტიდისკრიმინაციული კანონის მხარდამჭერებს პარლამენტიდან ქუჩაში გამოყრით ემუქრებოდა, მაგრამ მუქარა არ შეუსრულებია — კანონი კი მიიღეს, რომლის მძიმე შედეგს სწორედ დღეს ვიმკით დაანონსებული გეიაღლუმის სახით.

ნიშანდობლივია, რომ ამჯერადაც **ლევან ვასაძე** გახდა ქუჩაში **„ქართველი კაცების“** გამოყვანის ინიციატორი. მეტიც, ვერის პარკში შეკრებილ აქციაზე მან მოხალისეთა ლეგიონის შექმნა დააანონსა, რომელიც ქამარში გარჭობილი კომბლებით დაიცავდა ხალხს მამათმავლების აღლუმისგან.

მე ფეისბუქსტატუსით გამოვეხმაურე ვერის პარკში ჩატარებულ აქციას, სადაც ხაზგასმით ვწერდი: **ლევან ვასაძემ საკუთარი მოწოდებებით და ერთობ საჩოთირო ინიციატივით (ძალადობა შობს ძალადობას!) ხელ-ფეხი გაუხსნა ხელისუფლებას, შეასრულოს საკუთარი ვალდებულება-მეთქი**.

არ ვიცი, ცვლის თუ არა ლგბტ-ს წარმომადგენელთა ტაქტიკას ვასაძის ინიციატივა, მაგრამ, როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც ადრესატი გვეშლება — **მთავარი სამიზნე ამ შემთხვევაშიც ხელისუფლებაა, რადგან, იგი ვალდებულია, საზოგადოების განწყობა გაითვალისწინოს და არ დაუშვას გეიაღლუმის ჩატარება**.

ვასაძემ კი პირიქით გააკეთა — მან განაცხადა, რომ მოხალისეთა ლეგიონის შექმნით იგი არ დაუშვებდა აღლუმის ჩატარებას და საჭიროების შემთხვევაში, კომბლებსაც გამოიყენებდა...

მეორეც, ასეთი ე.წ. „ლეგიონები“ კანონგარეშედ აყენებენ საკუთარ თავს.

მესამეც, წელს ამ მიზეზით გეიაღლუმი რომც არ ჩატარდეს, მომავალშიც იგივე პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით!

დასკვნა მარტივია: **ჩვენ ყოველთვის უნაგირს ვამტვრევთ (ბოლომდე მაგასაც ვერ ვამტვრევთ), ცხენი (მთავარი დამნაშავე) კი უვნებელი რჩება!**

რაც არ უნდა მოგვწონდეს, რაც არ უნდა მოღალატე და გადაგვარებული შეიძლება იყოს კონკრეტული ხელისუფლება, იგი სახელმწიფოს სახელით მოქმედებს და მისი პირდაპირი ვალდებულებაა, ანგარიში გაუწიოს საკუთარი ხალხის მოთხოვნებს!

რა გამოდის?

ჩვენ არათანმიმდევრული გამოხტომებით მხოლოდ ორთქლს ვუშვებთ, ქარავანი კი თავისი გზით მიდის, ანუ ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების ხარჯზე ბნელი ძალები მაინც თავისას აღწევენ!

სიტყვა არათანმიმდევრული ვახსენე და აქვე გავაგრძელებ: **მიუხედავად იმისა, რომ ლევან ვასაძე თავისი ქარიზმით და ეროვნული მოწოდებებით სიმპათიას იწვევს საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, მის აქტიურობას სწორედ არათანმიმდევრულობის ბეჭედი აზის — როგორც მოულოდნელად გამოკრთება ხოლმე მისი სილუეტი, ასევე მოულოდნელადვე ქრება კიდეც.**

მეორეც, მართალია, გეიაღლუმის ჩატარება მართლმადიდებელმა ქართველმა ერმა არ უნდა დაუშვას, მაგრამ, არანაკლებ მწვავე იყო ამ კანონების მიღებაც, რომელიც ძირს უთხრის საქართველოს, როგორც სახელმწიფოს და ზოგადად უპერსპექტივოს ხდის ერის მომავალს...

როგორ ფიქრობთ: **ნაკლებად აქტუალურია კანონი „იუვენალური იუსტიციის შესახებ“ ან, თუნდაც, ახალმიღებული „ბავშვთა კოდექსი“, რომ არაფერი ვთქვათ უცხოელთა მასობრივად შემოდინებაზე ან ქართული მიწის შეუზღუდავად უცხოელებზე მიყიდვაზე?**

რატომღაც არ მახსოვს ბ-ნ **ლევან ვასაძეს** განგაშის ზარი დაერისხებინოს — პარლამენტის წინ, ან სახელმწიფო კანცელარიასთან ქუდზე კაცი მოეხმოს!!!

ხელაღებით ვერ ვიტყვი, რომ **ბიძინა ივანიშვილს** (ვისთანაც ასოცირდება დღევანდელი ხელისუფლება) შეუძლია გარედან თავსმოხვეულ ზეწოლას ბოლომდე გაუძლოს და არ აკეთებს! ვერც იმას დავამტკიცებ, რომ საზოგადოების აზვირთების შემთხვევაში ხალხის მხარეზე დადგება თუ არა, მაგრამ, ერთი რამ დაბეჯითებით ვიცი — **წინ ვერავინ დაუდგება ხალხის ნებას, თუ ერთსულ და ერთხორც შევიკვრებით ერის სასიცოცხლო ინტერესების გარშემო.**

ჩვენ კი ან ფოჩიანი კანფეტებით გვაბრუებენ, ან საკუთარ ენერგიას ერთმანეთის ჯიჯგნაში ვხარჯავთ, რა დროსაც მტერი თავის საქმეს უპრობლემოდ აკეთებს.

დასკვნა: **ვიდრე საქართველოში „ცოტა გამაბედინეს“ სინდრომს ადეკვატური რეაქცია არ მოჰყვება, ვერც „მოხალისეთა ლეგიონები“ გვიშველის და ვერც ლევან ვასაძე იქნება ერის „ზალატოი ზაპასი“ („სათადარიგო ოქრო“)!**

P.S. ლევან ვასაძის ბოლოდროინდელი გააქტიურება ბევრმა მისი მხრიდან აქტიურ პოლიტიკაში შემოსვლის გადაწყვეტილებად აღიქვა, რაც საფუძველს მოკლებული მგონია.

ჯერ ერთი, დღევანდელ რეალობაში აქტიურ პოლიტიკაში ჩართვა, ვასაძისნაირი პერსონისთვის (სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით) სახიფათოა და მსხვერპლშეწირვის ტოლფასი იქნება, რაც არა მგონია, მან გარისკოს...

მეორეც, ხალხთან თამაში არ შეიძლება — თუ ერის მამობა გინდა, თავით და ფეხებით უნდა გადაეშვა პოლიტიკაში და თანმიმდევრული ნაბიჯებით უნდა დაამტკიცო, რომ მსხვერპლშეწირვისთვის მზად ხარ!

რაც შეეხება საზოგადოებაში მოარულ აზრს, რომ ლევან ვასაძე რუსული პროექტია და მისი ნებისმიერი ფორმით გააქტიურება რუსეთის წისქვილზე უშვებს წყალს, არც მტკიცება შემიძლია და არც უარყოფა.

ერთი რამ კი დაბეჯითებით ვიცი: ჩვენ ქართული პროექტი გვჭირდება, თუნდაც ჩოხა-ახალუხის და თითიდან გამოწოვილი რაინდობის ტიტულის გარეშე!

ზაურ ნაჭყებია

როცა წინ უზნეობის უფსკრულია!

„ზნეობის ასე გამარტივება, ბოდიში და, პედერასტებთან ომამდე დაყვანა, სწორედ ზნეობის დისკრედიტაცია და ღირებულებების გავულგარულებაა“

ლევან ვასაძემ „კომბლების რევოლუცია“ გადაიფიქრა. მას შემდეგ, რაც შს სამინისტრომ ვასაძის ფორმირებებზე გამოძიება დაიწყო, ბიზნესმენმა განაცხადა, რომ პატრულირებას აუქმებს, რადგან ენდობა შს სამინისტროს.

თუმცა მანამდე მისი ტონი კატეგორიულად ჟღერდა: „ღმერთი არ გაგიწყრეთ და არ დაუწყოთ ცემა ჩვენებს, მაგ შემთხვევაში, თქვენ მიიღებთ პასუხს, ეს კომბალი არ მოხვდეს არც ერთ გარყვნილ ადამიანს, არც ერთ ქათამს, არც ერთ თხას. ჩვენ თავს არ გაგალახვინებთ, ძმაო, ეს გამორიცხულია, თქვენ მიიღებთ მსოფლიოში პირველ „კომბლების რევოლუციას“.

„კომბლების რევოლუცია“ არა, მაგრამ ახდა მისი გარემოცვიდან გამოჟონილი ინფორმაცია, რომ ლევან ვასაძე ივნისის თვეში უნდა გააქტიურებულიყო.

ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი მიიჩნევს, რომ ეს ტალღაც გადაივლის და მთელი ეს ამბავიც ჩაცხრება. FOR.GE დავით ზარდიაშვილს ესაუბრა.

— სამშობლოსთვის შეფიცულები, ნამდვილ მამაკაცთა კრება, — ასეთი ეპითეტები ისმოდა ლევან ვასაძის გააქტიურების კვალდაკვალ ლგბტ პრაიდის წინაალმდეგ. რა პერსპექტივა ექნება ვასაძეს 2020 წლისთვის?

— რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი გარკვეულ ემოციურ მუხტს ატარებს, ლგბტ თემა საკმაოდ სენსიტიურია და რაღაც აფექტს, ემოციების ზღვარს ჩვენს საზოგადოებაში იწვევს, მაგრამ შეუძლებელია, ეს ყველაფერი პოლიტიკის საგნად იქცეს. ეს საკითხი პოლიტიკის რანგში თუ გადავა და სერიოზულ თემად იქცევა, მაშინ დაიღუპება ჩვენი ქვეყანა. იმედია, ასე არ მოხდება. თანდათანობით ეს ტალღაც გადაივლის, ემოციური ფონი, ლეგიონი და მთელი ეს ამბები ჩაცხრება. ლევან ვასაძის პოლიტიკაში სერიოზულ გამოჩენას მე არ ველი. რომც გამოჩნდეს, შანსი არ ექნება და ეს უკვე იქიდანაც ჩანს, რაც მან ამ დღეებში გააკეთა. არავითარი რეალური პერსპექტივა მის ძალას არ ექნება.

— მაგრამ ამ ადამიანმა მოახერხა ვერის პარკში მამაკაცების მობილიზება, მას შეუერთდა პარლამენტარი ემზარ კვიციანი და წარსულის წლები გაიხსენა, როცა ბატალიონ „მონადირის“ აქტიურობის პერიოდში მსგავსი ფიცი დადო და ამ ფიცისთვის არ უღალატია.

— ესეც ღრმად არასერიოზულია. ამას შედეგი არ ექნება.

— ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ქვეყანაში ბევრ ადამიანს აქვს ლევან ვასაძის მსგავსი განწყობა, ამ დღეებში ხშირად ახსენებენ ალენ დალესის დოქტრინას, რაც ფასეულობების გაყალბებას, ახალგაზრდობის გარყვნას, პატიოსნებისა და წესიერების წარსულის გადმონაშთად გადაქცევას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, ლევან ვასაძე ამ კონკრეტულ სამიზნე ჯგუფსაც ვერ აიყოლიებს? თუნდაც მრევლი მას არ გაყვება?

— ეს არ მივა რეალურ პოლიტიკურ მოქმედებამდე და იმ ძალების სოციალურ კონსოლიდაციამდე, რომლებსაც პოლიტიკური მიზნები ექნებათ, რადგან ეს სრულიად ირაციონალური ცდაა და არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ინტერესებთან. პოლიტიკური განზომილება ამ საკითხს არ აქვს. ეს რომ პოლიტიკურ პროგრამად აქციონ, წარმოუდგენელია. როგორ შეიძლება, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებთან ბრძოლა პოლიტიკურ მიზნად გამოაცხადო?! ეს ხომ არასერიოზულია?!

— მათ იმედი აქვთ, რომ მსოფლიოშიც იმძლავრებენ პატრიოტები. მიგრანტების მოძალებამ, ლგბტ-ეების გააქტიურებამ მთელ მსოფლიოში მართლაც გაზარდა ხელისუფლებაში ერთვნული ძალების მოყვანის სურვილი.

— ეს სხვა შემთხვევაა, რადგან მსოფლიოს პატრიოტულ ძალებს განსხვავებული პოლიტიკური დისკურსი შემოაქვთ. ამ დისკურსის ნაწილი შეიძლება იყოს სექსუალური თემაც, მაგრამ ამ თემის გარშემო პოლიტიკური ორგანიზმის შექმნა ძნელი წარმოსადგენია. თავის დროზე ფაშისტებიც მოვიდნენ ხელისუფლებაში და მათ უფრო რადიკალური პროგრამებიც ჰქონდათ, მაგრამ ძალიან დიდი კატასტროფა უნდა მოხდეს, რომ მსგავსი ძალები პოლიტიკაში რეალური შედეგებით მოვიდნენ. ეს იქნება ქვეყნის დიდი უბედურება.

— სხვათა შორის, თინა ხიდაშელმაც ფაშისტური ნარატივი ახსენა.

— რა თქმა უნდა, ყველას თავისებური ემოციური მიმართება აქვს განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებთან, მაგრამ როგორც კი ეს პოლიტიკაში გადადის და იწყება ნადირობა კუდიანებზე, როცა განსხვავებული ორიენტაციის ადამიანების დევნა პოლიტიკურ მიზნად ცხადდება, ეს უკავშირდება ფაშიზმს. თუმცა ფაშიზმს უფრო დახვეწილი და შორს მიმავალი პოლიტიკური მიზნები ჰქონდა — გერმანელი ერის მსოფლიო ბატონობა. ის, რაც საქართველოში ხდება, ფაშიზმიც არ არის, ეს ღრმად არასერიოზულია. 2020-ზე გათვლაც არარეალისტურია, რადგან ეს თემა ჩაწყნარდება. მეორე მხრივაც რომ დავფიქრდეთ, ლგბტ-ეები და მათი დაცვა ყურით მოთრეული საკითხია, არავითარი ლგბტ თემი საქართველოში არ არსებობს. თემი მექანიკური ერთობა არ არის, ეს არის სოციალური ორგანიზმი, რომელიც ორგანიზებული ძალაა და შეუძლია, საკუთარი ინტერესებისთვის ბრძოლა. ასეთი რამ საქართველოში არ არის, უბრალოდ, არასამთავრობო სექტორში არის რაღაც სეგმენტი, რომელიც უცხოურ გრანტს გამოეკიდა და ვითომ ლგბტ-ეების უფლებებს იცავს. რეალურად, შეუძლებელია მათი უფლებების დაცვა, რაც არ არსებობს, ლგბტ თემი არ არსებობს. ცხადია, არსებობს განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები, მაგრამ საკითხის ისე წარმოჩენა, თითქოს მათ აქცენტირებული ინტერესები აქვთ, რეალობისგან ძალიან შორსაა. ამაზე ლევან ვასაძისეული რეაქციის გამოხატვა ყველაფერს სცდება, ეს ჭიქაში ატეხილი ქარიშხალია.

— ხომ შეიძლება ვასაძემ და მისმა მომხრეებმა დაიწყონ ლგბტ თემით, მაგრამ პოლიტიკაში შემოსვლა გააგრძელონ სხვა სერიოზული თემებით? იქნებ, ზნეობრივი საკითხების წინ წამოწევა ჩვენს საზოგადოებას იზიდავს?

— ზნეობის ასე გამარტივება, ბოდიში და, პედერასტებთან ომამდე დაყვანა, სწორედ ზნეობის დისკრედიტაციაა. ეს ღირებულებების გავულგარულებაა. მით უმეტეს, ქართული ღირებულებები მნიშვნელოვანია. ქამრებით შევკრავ განსხვავებული ორიენტაციის ადამიანებს, ეს ხომ ზნეობრივი ნორმების დისკრედიტაციაა. გარდა ამისა, გაისმა მუქარა, პოლიციას განვაიარაღებთ და წესრიგს ჩვენ დავამყარებთო. ეს ჯერ კიდევ დასრულებული დანაშაული არ იყო, თუმცა ამას პრევენცია სჭირდებოდა, რათა მუქარიდან ქმედებებზე არ გადასულიყვნენ.

— ზოგიერთი ფიქრობს, რომ ლევან ვასაძის პოლიტიკაში შემოყვანით ბიძინა ივანიშვილია დაინტერესებული.

— ეს შეთქმულების თეორიაა, რომლისაც არ მჯერა. რაში უნდა აინტერესებდეს ბიძინა ივანიშვილს ასეთი ისტერიკა? შესაძლოა, ვიღაცას რაღაც საკითხებისგან ყურადღების გადატანა სურდეს, მაგრამ არა მგონია, ეს მეთოდი ბიძინა ივანიშვილს გამოადგეს. ვასაძის რუსულ კავშირებზე საუბარიც შეთქმულების თეორია მგონია, არ არის ისე, თითქოს ლევან ვასაძე რუსეთის ხელი ან თავია საქართველოში. რუსეთს თავისი პოლიტიკის განხორციელებისთვის გაცილებით მძლავრი ინსტრუმენტები აქვს, ვიდრე ვასაძეა. მას არაფერში სჭირდება საქართველოს შიდა პოლიტიკაში ჩარევა, რადგან მუშაობს „ტაპორით“. როცა რუსეთს რაღაც დასჭირდება, პირდაპირ იმას იზამს, რაც აგვისტოს ომში გაკეთა. რაში სჭირდება რუსეთს ვასაძესა და ასეთ სიგიჟეებში ფულის ყრა, ეს ხომ არარაციონალურია? რაც შეეხება „მხედრიონთან“ პარალელს, „მხედრიონი“ კიდევ სხვა რამე იყო, ის იყო ნახევრად კრიმინალური წარმონაქმნი, მასში შეიმჩნეოდა კრიმინალური რომანტიკაც, გადაჯაჭვული პატრიოტულ, ჭეშმარიტ რომანტიკასთან, მაგრამ ლევან ვასაძის თანამოაზრეები კრიმინალები არ არიან. ესენი არიან დაბნეული ადამიანები, რომლებსაც ჰგონიათ, ჰომოფობია პოლიტიკურ დროშად უნდა აქციონ, რაც არასერიოზულია. არ ვამბობ, რომ ეს საშიშია, უბრალოდ, პერსპექტივა არა აქვს.

— მათ ვერის პარკში ბევრი ხალხი შეაგროვეს.

— არც ისე, რა გითხრათ... მე ამაში ვერ ვხედავ მომავლის განვითარების პროცესებს, უბრალოდ, ხანდახან შეიკრიბებიან, პუბლიკას გაამხიარულებენ, ზოგჯერ შეიძლება მათი ქმედება საშიშიც აღმოჩნდეს, როგორც ის შემთხვევა, ტაბურეტებით რომ გარბოდნენ.

— აქციაზე იმყოფებოდნენ სასულიერო პირებიც, ეს საპატრიარქოს თანადგომას ნიშნავს?

— საპატრიარქოს ოფიციალური პოზიცია ეს არ არის. ეს არის მხოლოდ ცალკეულ სასულიერო პირთა პოზიცია. საპატრიარქოს პოზიციაა, რომ სექსუალური გადახრები მიუღებელია, ეს რწმენის ამბავია და საპატრიარქოს ასე სჯერა, მაგრამ ამის წინააღმდეგ რომ ქამრებით ვიბრძოლოთ, ეს საპატრიარქოს პოზიცია ვერასდროს იქნება. საპატრიარქო ძალადობას გაემიჯნება. მით უმეტეს, ორგანიზებული სახით ლგბტ საზოგადოება საქართველოში არ არსებობს. არსებობს ორი ათეული ადამიანი, არასამთავრობო, რომელიც ელემენტარულად ამით პურს ჭამს.

— მაინც მეჩვენება, ლევან ვასაძე იწყებს ლგბტ თემით და მერე შეიძლება სხვა მნიშვნელოვანი თემებით გააგრძელოს.

— არ ვიცი, ესეც ვნახოთ, თორემ თუ ლევან ვასაძეს მხოლოდ ის მოწოდება ექნება, ლეგიონს შევქმნი, რომ პედერასტები ქამრებით დავიჭიროო, ეს საკმარისი არ იქნება.

მარიამ ლოლაშვილი

ლევან ვასაძის მხარდამჭერები აჯანყებით იმუქრებიან

ლევან ვასაძის ადვოკატის დავით ცინცქილაძის თქმით, „თბილისი პრაიდის“ წინააღმდეგ თვითორგანიზებას და აჯანყებას არ გამორიცხავს.

„მოვუწოდებ, ექსტრემისტ ლგბტ თემის წარმომადგენლებს, მოძალადე მამათმავლებს, ლესბოსელებს, მამაძაღლებს და უკუღმართებს, რომ მსგავსი სახის პარადის, პრაიდის, აღლუმის და გალა კონცერტების ჩატარება არ განახორციელონ. თუ ისინი მაინც შეეცდებიან მსგავსი სახის აქციის მოწყობას, მაშინ ჩვენ, ქართველი ხალხი მოვახდენთ თვითორგანიზებას იმ კონკრეტულ ლოკაციაზე, სადაც ისინი დააპირებენ გარყვნილების პროპაგანდირებას. ქართველი ხალხის კონსტიტუციური უფლებაა, თუ მის ინტერესებს, მის უფლებებს არ იცავს სახელმწიფო, მოახდინოს არა მხოლოდ თვითორგანიზება, განახორციელოს აჯანყებაც კი“ — აღნიშნა ადვოკატმა.

„შეაწყეთ კომბლები სხვენში“

ბიზნესმენმა ლევან ვასაძემ მხარდამჭერებს მიმართა. მისი თქმით, რადგან შინაგან საქმეთა სამინისტრომ თქვა, რომ პრაიდი არ იქნება და რადგან მისივე თქმით, ეს სიტყვა გუშინ შეასრულა, მისგან სახელმწიფომ საჩუქარი მიიღო და მხარდამჭერებს კომბლების შენახვისკენ მოუწოდა.

„მინდა, გაგიკეთოთ ერთი ძალიან დიდი საჩუქარი — მე მინდა, რომ ჩვენს მხარდამჭერებს, ჩვენს სახალხო საპროტესტო მოძრაობას მოვუწოდო, რომ კომბლები შეაწყონ სხვენში. როგორც გახსოვთ, კომბლები არასდროს იყო განკუთვნილი ამ უბედური მამათმავლებისა და მათი პროპაგანდისტებისთვის. ეს იყო იმ შემთხვევისთვის, თუ პოლიცია შეგვდგებოდა ჩვენ წიხლებით და დაგვიწყებდა ცემას“ — აღნიშნა ვასაძემ.



ჯემალ მეხრიშვილი



ფიქრები

ბოქვენის მწერლუკანები

ქართული ენციკლოპედიის მე-9 ტომის 717-ე გვერდზეა ილუსტრირებული სტატია „ტილები“. ეს სისხლისმწოვი მწერები ადამიანისა და ძუძუმწოვრების პარაზიტებია. ცნობილია მათი 200-ზე მეტი სახეობა. ადამიანის ტილი დღე-ღამის განმავლობაში 2-3-ჯერ წოვს სისხლს. ტილებს გადააქვთ ინფექციური დაავადებები (მუცლის ტიფი, ციება და სხვ.). თურმე არსებობს ადამიანის ტილის სამი სახეობა: თმის, ტანსაცმლისა და ბოქვენის ტილები.

ბოქვენის ტილები რეზინის პინცეტით ადამიანის აგებულების სხვა ნებისმიერ ადგილას უმტკივნეულოდ რომ გადაანაცვლონ, მაინც ვერ მოისვენებენ – იცოცებენ, იცოცებენ და ისევ თავიანთ ბუნებრივ სამყოფელს – კაცისა თუ ქალის ბოქვენს მიუცოცდებიან!!!

*   *   *

გოლო დროს ქართულ მწერლობაშიც მოდურად მრავლდებიან **ბოქვენის მწერლუკანები**! მათი გონება-გემოვნებისთვის რაკი მიუწვდომელია ადამიანთა ცხოვრებისეულ-ინტელექტუალურ ურთიერთობათა მხატვრული ასახვის სირთულე და მშვენიერება, თავ-თავიანთ ტექსტებში ერთთავად ქალისა და მამაკაცის ბოქვენებში მართლა ტილებივით ფუთფუთებენ, რაკი ბეცურ-ცუღლუტურად ჩაიგონეს – სექსის სწორხაზოვანი, ოქმისებური აღწერა ადვილზე ადვილი და თანაც ყველაზე მომგებიანი თემააო! მაგრამ აქ საკითხი **თემას** კი არა, ნებისმიერი ავტორის ნიჭიერება-უნიჭობას ეხება! ხოლო „მომგებიანი“ თემის ცდუნებით დასნეულებულმა უიმედო გრაფომანებმა კი რა თემებზეც უნდა წერონ, ხელიდან მაინც არაფერი გამოუვათ, რასაც, ალბათ, თავადაც გრძნობენ! ამიტომ რაკი ვეღარც გემოგასინჯულ საძრახის პოპულარობას შელევიან და თანაც ვერც ჭეშმარიტ ლიტერატურამდე ამაღლებულან, სხვა რაღა დარჩენიათ – საზოგადოებაში ნაირგვარი ინფექციური უზნეობის გასავრცელებლად მთელი სიცოცხლე სულ ქალისა და მამაკაცის ბოქვენებში უნდა იცუცუნონ!!!

გაცვეთილი პაროლი

საყოველთაოდ ცნობილია: კონსპირაციულ წრეებსა თუ საიდუმლო ორგანიზაციებში რომელიმე სიტყვას ან ფრაზას თავისიანების გამოსაცნობ **პაროლად** რომ იყენებენ ხოლმე! მაგრამ ის **პაროლი** რაღა **პაროლი** იქნება, თუკი თანდათან ყველა შეიტყობს!..

ცხრა აპრილის სისხლიანი ტრაგედიისა და ცენზურის გადავარდნის შემდეგ სოკოებივით ამოხუჩხუჩებულ ქართველ ავტორთა გრაფომანულ ნაწერებში უადგილოდ, უხვად და ურცხვად ნახმარი უწმაწური სიტყვებიც პირველხანად მწერლობაში შესასვლელ **პაროლს** დაამსგავსეს!

ახალბედა ავტორს ოღონდაც კი უწმაწური სიტყვების ნიაღვრის გადმოფრქვევა გაებედა და ეს უნაკლო პაროლივით მოქმედებდა – მწერალთა რომელიმე კასტა ამგვარ უტიფარ ბილწმესიტყვეს „დიდ მწერლობაში“ გზას ტაშ-ფერხულით ულოცავდა!!!

რა დასამალია, სულ თავდაპირველად ამ ჩარჩულ ფანდს ჰქონდა ერთგვარი მოდური ეფექტი: აღელვებულ მკითხველებს სულ ასეთ ახალმოვლენილ „მწერალთა“ გვარ-სახელები და მათი „შედევრები“ ეკერა პირზე!.. მაგრამ ამგვარი ყალთაბანდური ტექსტებისაგან საზოგადოებას თანდათან ყური გაეხედნა და თვალიც აეხილა: ბოლოს და ბოლოს უწმაწური სიტყვების ფრქვევას ნებისმიერი შეძლებდა, თუკი იმათებურად შუბლის ძარღვს გადიღრღნიდა (ეს კარგად დაიმახსოვრეთ!) და ასეთი საძრახისი ხერხით „მწერლის“ სახელს ან თუგინდ კვარტალურ პოპულარობას მაინც გამოჰკრავდა ხელს!..

სამწუხაროდ, ზოგიერთი უიმედო დებიუტანტი ამას დღესაც ვერ ხვდება და მაინც საყოველთაოდ ცნობილი, უკვე **გაცვეთილი პაროლით** წვალობს „დიდ მწერლობაში“ კარის შემტვრევას!!!

მგელი და გრაფომანი

საკბილოს საძებრად მოწანწალე მგელი შემთხვევით ხაფანგში თუ წინა ფეხით გაება, ზოგიერთი მათგანი გაავებისაგან **ფეხს სახსარში გადაიღრღნის ხოლმე** და თავისი მოსისხლე მტრის, ადამიანის გამოჩენამდე თავს ასე შველის!!!

ლიტერატურაშიც რაღაც ამდაგვარი ხდება! ოღონდ უნიჭობის ულმობელ ხაფანგში მოხვედრილი ზოგიერთი გრაფომანიც გაავებული მგელივით ფეხს ან ხელს კი არა, **შუბლის ძარღვს გადაიღრღნის ხოლმე**, გაუწითლებლად რომ აფრქვიოს ყოველგვარი სიბილწე და უწმაწურობა!..

გასაოცარია, აქ სუსტი სქესის წარმომადგენლები რომ უფრო მამაცობენ!

ჩხუბისთავი და გრაფომანი

მსოფლიოს ხალხთა ანდაზები, აფორიზმები თუ ზეპირსიტყვიერება ერთხმად გვიდასტურებენ – **აბსოლუტურად ყველა ეროვნების ჩხუბისთავი ბუნებით ლაჩარია!!!**

იაფფასიანი თავგამოჩენის მიზნით ჩხუბისთავი დავიდარაბას გაწაფულად ატეხს ხოლმე, მაგრამ რაკი ვაჟკაცური მუშტი-კრივის თავი არ აბია, მოწინააღმდეგის დასაშინებლად და ქალების ასაკივლ-ასაწივლებლად მაშინვე ბებუთს გააძრობს!

იგივე მეორდება მწერლობაშიც! ახალგამომტყვრალი ზოგიერთი გრაფომანიც, რაკი თვითონვე გძნობს, არსთგამრიგეს მისთვის მწერლური ნიჭი, მადლი და ღირსება არ მიუმადლებია, საზოგადოების ასაღელვებლად და ყურადღების მოსახვეჭად ჩხუბისთავის პირლაპლაპა ბებუთივით გაგვიძრობს ხოლმე... უწმაწურ სიტყვებს!!!

ბოლო ხანებში საქმე იქამდეც მივიდა, მწერლობას ატორღიალებული ზოგიერთი გრაფომანი, თანაც სუსტი სქესის წარმომადგენელი, თავისი მკვდრადშობილი ტექსტის პირველივე წინადადებას უწმაწური სიტყვებით „ამკობს!“

მისამძიმრების მოთხოვნილება

ბოქვენის მწერლუკანებმა თვითმიზნურ ტექსტებში სრულიად უადგილოდ, თანაც უხამსად აღწერილი სექსი და თავაწყვეტილი ბილწსიტყვაობა ლამის ლიტერატურულ ნორმად რომ გვიქციეს, აღშფოთებისაგან ძილ-ღვიძილშიც კი ვიტანჯებოდი. ამგვარი „რეფორმატორ-ნოვატორობით“ ყელმოღერებულ ავტორებზე ხომ პირდაპირ გული მეღრინებოდა და ხელები მექავებოდა!

განსხვავებული თვალახელა მოგვიანებით მეწვია: ბოქვენის მწერლუკანებისადმი მიმართული აღშფოთება ახლა მათი ოჯახის წევრებისადმი მისამძიმრება-გამხნევების მოთხოვნილებით შემეცვალა!

ის საწყლები, ალბათ, როგორ მწუხარებენ, რაკი (თუკი...) ჰგონიათ, ამგვარი უკანდაუხეველი პორნოავტორების მიზეზით საზოგადოების თვალში მთელ ჩვენს პატიოსან ოჯახსაც თავი ეჭრებაო!

მსურს, მათ გულწრფელად მივუსამძიმრო და თან გავამხნეო: ასეთ „მწერლებს“ მოთმინებითა და გაგებით მოეკიდნენ, როგორც ოჯახში, მაგალითად, კუტის, ჭკუასუსტის ან ყრუ-მუნჯის ყოლას!..

რას ვიზამთ, ყველაფერი უფლის ნებაა!!!

სამარშრუტო ტაქსი და... რომანი

დილით ქუჩაში გამოხვედით და ცარიელ სამარშრუტო ტაქსში თქვენ პირველი ჩაჯექით. მგზავრები ტაქსის გზადაგზა ხელაწევით აჩერებენ და ამოდიან!.. მიუხედავად იმისა, ტაქსი ბოლომდე შეივსო და უკვე შეუჩერებლივ მიქრის, ერთმანეთთან არავინ ლაპარაკობს!

მიზეზი მარტივია – მგზავრები ერთმანეთისთვის სრულიად უცნობები არიან!!!

ზუსტად იგივე მეორდება გრაფომანის ე. წ. რომანშიც!

ავტორი სქემატურ მოქმედ პირებს დიდი ამბით კი ასახელებს და ქატოს მჩატე ტომრებივით გვერდიგვერდ გაჩქარებით ალაგებს, მაგრამ რაკი ყველას მაგიერ მხოლოდ თვითონ ლაპარაკობს, მისი უსისხლხორცო, პირაკრული პერსონაჟები ერთმანეთს არც იცნობენ!

უფრო მეტიც – თითოეულ მათგანს ეჭვადაც კი არა აქვს, რომ ამ ძალნატანი ტექსტის უვადო ტუსაღია!

საშინელებაა!!!

ოლიმპიური ცხენოსნობა, როდეო და... მწერლობა

ტელევიზორთან ხეირიანად მოკალათებულს, თვალი ვეღარ მოგიწყვეტიათ ოლიმპიური ცხენოსნობისთვის! გხიბლავთ ტანმოქნილი მხედრების მორჭმულობა და ჯიშიანი, დაურვებული ცხენების გაწვრთნილობა! გეჩვენებათ, ცხენი მართლა აღვირს კი არ ემორჩილება, სწორუპოვარი პატრონის კეთილშობილურ სურვილებს ნავარდ-ნავარდით მიჰყვება!!!

*   *   *

ახლა როდეოზე გადავინაცვლოთ. აგერ, ვიწრო ბაკით შებოჭილ ხამ ბუღაზე ამხედრებული, სამკვდრო-სასიცოცხლოდ თავგადადებული კოვბოი ორივე ხელით ღონივრად ჩასჭიდებია ავად მქშინავი კუროს გულმკერდზე მაგრად ამოკრულ გარსაკრს და საბედისწერო ნიშანსღა ელის!

და აჰა, გააღეს ბაკის კარიც! არენაზე გავარდნილი, გაგიჟებული უზარმაზარი ბუღა ტლინკებს ტყუპტყუპად ისვრის და თან ტარაბუასავით ტრიალებს, ეს რაღაც საშინელი არსება ზურგიდან უცებ რომ მოიგდებინოს და რქებზე წამოიცვას!!!

მართლაც, როდემდე გაუძლებ გავეშებული ბუღის თავბრუდამხვევ ტლინკვა-ტრიალს – რამდენიმე წამის შემდეგ შეუპოვარ კოვბოის ყირამალა მოისვრის ხოლმე და მის გათელვა-დაჩხვერვას ლამობს ანდა არენის კედლებს ბრმა სიშმაგით ეხეთქება, ეს უცნაურად მოკაშკაშე, აჟრიამულებული სამწყვდევი როგორმე რომ გაამტვრიოს და ისევ თავისუფლებაზე გაიჭრას!!!

*   *   *

მწერლობის ჯერიც დგება! იწყებთ თუგინდ აქამდე სრულიად უცნობი მწერლის კითხვას და ნამდვილი პროზაიკოსი პირველი სტრიქონებიდანვე ერთ-ერთ მედალოსან მხედარს ემსგავსება: როგორც ოლიმპიური ასპარეზობის რომელიმე ჩემპიონი თავის გაწვრთნილ ცხენს, მწერლის კალამ-მარჯვენაც იმგვარივე სწორუპოვრობით იმორჩილებს მხატვრული თხრობის მძიმე აღვირს!!! თუმც თხრობამ შეიძლება ზოგჯერ ოლიმპიური ცხენივით წაიბარგანაოს ანდა ურთულეს ბარიერს შეუკრთეს და გვერდზე „ფრუტუნ-ფრუტუნით“ გაუხტეს! მაგრამ მწერლად დაბადებული, გონებაფხიზელი პროზაიკოსი მხატვრულობის აღვირს მაშინვე მტკიცედ მოსწევს ხოლმე და წამიერად „გაოჩნებულ“ თხრობას ისევ თავის ბუნებრივ კალაპოტში აბრუნებს!!!

გადმოუცემელი სიამოვნების მომგვრელია ამგვარ მწერალთან შეხვედრა!..

*   *   *

და აჰა, სამწერლო ოლიმპიურ შეჯიბრზე გრაფომან-მხედარი თავდაჯერებული გამომეტყველებით გამოჯირითდა! როგორც კი იწყებთ კითხვას, ზედმომდგარი ფათერაკისაგან მაშინვე გული გეწურებათ: მის იორღა ცხენ-ტექსტს საერთოდ თურმე არ ჰქონია მხატვრული თხრობის ლაგამი!!! ამიტომ აქ ოლიმპიური ცხენოსნობა ელვისებურად გადაიქცევა ხოლმე ლიტერატურულ როდეოდ!!!

მართლაც: როგორც გამძვინვარებული ბუღა იმ თავგადადებულ კოვბოის, უთავბოლო ტექსტიც დასაწყისისთანავე ყირამალა ისვრის მოძალადე „მწერალსაც!“ მაგრამ უიმედო გრაფომანი ამას ვერცა გრძნობს ანდა საძრახის პოპულარობას დახარბებული, არაფერს ეპუება: ბუქში გაშოტილი, ის მაინც თავისებურად აბდაუბდაობს!..

ეს საშინელებაა, მით უმეტეს თუ მკითხველებით გაჭედილ ლიტერატურულ „იპოდრომზე“ ასე უგვანოდ გრაფომან-ბილწმესიტყვე მოკლეკაბიანი ქალბატონია გაშხლართულ-გაჩაჩხული...

ფეხბურთელი და მწერალი

მაყურებლის აღფრთოვანებას იწვევს ფეხბურთელის ეს ერთ-ერთი მომაჯადოებელი ილეთიც: შორიდან ყუმბარასავით მომქროლავ ბურთს ფეხს ისეთი სიფაქიზით დაუხვედრებს ხოლმე, ბურთი იმავწამიერად ადგილზევე „კვდება!!!“ მაგრამ რომელ მოთამაშესაც ეს არ ძალუძს, საიდანღაც გადმოწოდებული ბურთი შეხებისთანავე იქავ „დაამიწოს“ კი არა, მის აშვერილ ფეხს მონახვედრი ბურთი ახლა საითკენღაც ისე გაფრინდება ხოლმე, გამოდევნებასაც კი აღარ აქვს აზრი!!!

ასეთმა ფეხბურთელმა ან დროიანად უნდა დახვეწოს ეს ილეთი, არადა ფეხბურთელობაზე საერთოდ, ხელი აიღოს!..

განა მწერლობაშიც იგივე არ ხდება?!

ნამდვილი მწერლის გამოწვრთნილი გონება-წარმომსახველობიდან ტყვიასავით წამოსული საჭირო სიტყვა მისი კალმის წვერზე შეხებისთანავე მორჩილად „ქვავდება“ და სტრიქონში ზუსტად თავის ადგილას მკვიდრად ჯდება!!!

ლიტერატურაზე

მოურჯულებელ გრაფომანთან?! რაკი მისი კალმის წვერი, ცხადია, ვერასგზით ვერ შეძლებს თავისი პატრონის არამწერლური აზროვნებიდან ალალმედურად გამოტყორცნილი რაგინდარა სიტყვების გაქვავება-გადარჩევას და სტრიქონებში მხოლოდ აუცილებელთა „ჩალურსმვას“, ამიტომ მთლიან ტექსტში მრავალსიტყვაობის გაურჩეველი დომხალი ბატონდება, ვინაიდან ვეღარ ხერხდება ურა კვიცს დამსგავსებული „მხატვრული“ თხრობის აუცილებელი დალაგმვა!!!

ნეტავი მაცოდინა, გასაგებად ვლაპარაკობ?!

მენახირე და ზოგიერთი რომანისტი

საგჯოთა პერიოდში სოფლის პატარა ნახირს ერთადერთი მუდმივი მენახირეც ჰყოფნიდა – ავი იყო თუ კარგი, ის ერთი ჰყავდათ!

დღეს კი ვინ გიშლის – რამდენიც შეგიძლია, იმდენი პირუტყვი იყოლიე! მთის საძოვრიან სოფლებში ბევრს ათობით და ოცობით საქონელი ჰყავს! ამგვარ პირობებში კი ერთი ძველებური მენახირე რა თავწყალს გააღენდა!

ახლა საქონლის პატრონები მთელი სოფლის ნახირს რიგრიგობით იმდენი დღით მწყემსავენ, ვისაც რამდენი სული პირუტყვიც ჰყავს!

აქ კი აშკარად გამოიკვეთა თითოეული მენახირის ავკარგიანობა!!!

საქონლის მოცოდომადლე, სინდის-ნამუსიანი მენახირე თავს არ იზოგავს და ნახირს ღალიან საძოვრებს უძებნის და უმარჯვებს. თან საჭირო დრომდე წინიდან დაუღალავად უდგას, გახარბებულმა პირუტყვმა საბალახო ნაადრევად რომ არ გადაქელოს და უმეტესი დრო ფუჭ სიარულს არ მოანდომოს!.. თან თვალფხიზლადაც უნდა იყოს, კერძო ნათესებისკენ გეზაღებული გაწუწკებული ძროხები ისევ ნახირს შემოუბრუნოს, თორემ!..

ამგვარი მენახირეების კაცობა და რუდუნება საღამოთი გამოჩნდება ხოლმე: მათი მომწყემსილი საქონელი მშვიდია, ფერდებამოვსებული, ნაბიჯდამძიმებული, ხოლო თითოეულმა ფურმა ლამის თითო ვედრო გაალიცლიცოს!!!

* * *

სოფლის უბედურებაა, როცა მენახირეობა თახსირსა თუ შებერტყილს უწევს! მით უმეტეს, როცა თვითონ სამიოდე სული კუდა ძროხა აბადია და მუყაითი მეზობლების საქონლის სიმრავლე გულ-მუცელს უმღვრევს!

ჰოდა, „სხვათა“ ძროხების მოვლა-დევნით მუხლები რაზე უნდა დაიწყვიტოს – ნახირს ხან ერთ, ხან მეორე ფართო, აღვილად თვალმოსავლებ ხეობაში ჩაყრის ხოლმე, თვითონ კი ზემოდან ჩრდილში წამოუწვება და საქონელს ხეობიდან ზევით არ უშვებს – ამგვარ ურჯულოს არც თავისი ებრალება, არც სხვისა! დამშეულმა პირუტყვმაც რა ქნას – გადახოხნილი ფერდობები სამართებლით გადაპარსული გეგონება!

მტრისას, თუ ამგვარ „მენახირეს“ თავისივე მსგავსი წუპაკი ძმაკაცი სასმელით აუვიდა!.. მათი „ვაუკაცობის“ შედეგი საღამოთიღა მზეურდება: ნამშევი, ფერდებჩაცვივნილი ნახირი ორღობეებში გამწარებით მოთქარუნობს, ღობეებზე გადმოწვდილ ხეხილის ტოტებს ხარბად ეწვდებიან და სახრე ზედ რომ დაამტვრიო, ნაბიჯს მაინც ვერ მოაცვლებინებ!.. სამი-ოთხი ფური ერთ ვედროსაც ვერ ავსებს!.. ორი მოზვერი ვიღაცის სიმინდის ყანაში გადაჰპარვიათ და ახლაც თურმე შიგა ყრიან!.. მავანის მაკე ძროხა კი ტყეში დარჩენიათ და მეორე-მესამე დღესღა პოულობენ მგლებისაგან გახეთქილს!..

ამგვარ „მენახირეებს“ მოთმინებადაშრეტილი სოფელი კიცხავს, ანამუსებს, ემუქრება, მაგრამ საქმეში ხარ?!.

* * *

დაახლოებით იგივე მეორდება მწერლობაშიც!

ნამდვილი მწერალ-მენახირის რომანიც მოვლილია, მაძღარი, მშვიდი, აზრიანი, თანაბარი, „ფერდებამოვსებული“ და რაც მთავარია, **მხატვრული „მონაწველიც“** შთამბეჭდავია!..

გრაფომანის ძალნატან რომანში ყველაფერი პირუკუ ხდება: მისი უსისხლხორცო, დაუსრულებელი პერსონაჟებიც დამშეულ ძროხებს ჰგვანან! ხოლო ზოგიერთ მათგანს ისეთ არსათქმელს წამოაროშვინებს ხოლმე, ეს უკანასკნელიც მაშინვე დაუკრეფავში გადადის, როგორც შეხმული მენახირის წუწკი ძროხა კერძო ნათესში!.. ალალბედა გრაფომანი დასაწყისში კი რიხიანად ასახელებს ზოგიერთ პერსონაჟს, მაგრამ მერე იმ უხეირო მენახირესავით „ტყეში“ ავიწყდება და მგლების... უკაცრავად, მწვავე კრიტიკის საკბილო ხდება!..

მხატვრულ „მონაწველზე„ სერიოზული ლაპარაკი ხომ არცა ღირს: მთელმა რომან-ნახირმა იმედგაცრუებულ მკითხველს „ვედრო“ კი არა, ნეტავი ყავის „ფინჯანი“ მაინც გაუვსოს!..

ტანჯვიანი თავგადადებით ჩაამთავრებთ სხვების ზედაპირული ბაძვით მოცოდვილებულ ტექსტს და ცხადი ხდება – ამგვარი ფეხისხმასაყოლილი გრაფომანისაგან არასოდეს დადგება რიგიანი მენახირე-რომანისტი!

მაჭანკლობის ნაირსახეობა

გამობრძმედილი მაჭანკლების ერთ-ერთი ნაცადი ხერხი, ალბათ, ბევრს გაეგონება ან იქნება ნანახიც ჰქონდეთ! სინდის-ნამუსიანი, კეთილგუნება, მაგრამ, ღმერთო შემინდე და, ერთობ შეუხედავი საპატარძლოს გასასინჯად სადაცაა სასიძო თავისი საახლობლოთი რომ უნდა მოვიდეს, თადარიგიანი მაჭანკლები მკერდაყვავებულ, თეთრმკლავება, ტუჩმარწყვა, საერთოდ, ვნების აღმძვრელ ახალგაზრდა ქალ-რძალს სადღაც საიმედოდ მიმალ-მომალავენ და მტანჯველი მოლოდინისაგან გამტკნარებულ საპატარძლოს გამოცდილი დამდგმელი რეჟისორებივით საგანგებოდ მოყვანილ, სულ შეხნიერებულ, თანაც სახემწუხარე, პირდაღვრემილ, მკერდჩამოფხეკილ თუ ლოყებჩამომდნარ მანდილოსნებს შემოუმწკრივებენ ხოლმე!

ყველაფერს ხომ ხვდებით?!.

მწერლობაშიც ზუსტად იგივე მეორდება! ეს განსაკუთრებით საბჭოთა რეჟიმის დროს იყო ადვილი და თანაც თვალში საცემი: მწერალთა კავშირის ყიზილ-ბაშურად გამედიდურებული ზოგიერთი დიდმოხელე თუ კავშირში მიმღები კომისიის წევრობას ამოფარებული ლიტერატურული კუკლუქსკლანელები რაღას არ ბევდავდნენ, ნიჭითცხებული დებიუტანტის დასაკორტნად, მათგან გონებასუსტ უფლისწულივით განებივრებულ ფავორიტს ლიტერატურულ ასპარეზზე უშნოდ რომ ეკეკლუცა!..

მაგალითები დავასახელო?! ჰმ, ნუთუ მართლა ასეთი გულუბრყვილო გგონივართ?! თანაც მე მავნე მოვლენასთან მაქვს საქმე და არა უკვე გარდასულ თუ ამოუსვლელ „ამომავალ ვარსკვლავებთან!..“

* * *

ამგვარ ლიტერატურულ მაჭანკლობას დღეს უფრო ფართო სარბიელი მიეცა! ეს არც არის გასაკვირი – დასავლეთი ევროპის წიგნის ბაზრობების კარი ქართველი მწერლებისთვისაც გაიხსნა!..

გრაფომანი „ბაში-აჩუკები“

რეჟისორ ლეო ესაკიას მიერ 1956 წელს გადაღებულმა ფერადმა კინოსურათმა „ბაში-აჩუკმა“ ჩვენი მივარდნილი კუთხის მცხოვრებლებშიც დიდი მოწონება დაიმსახურა! ამ ფილმს განსაკუთრებული, ლამის ავადმყოფური შთაბეჭდილება ქიზიყის ერთ-ერთი სოფლის კოლმეურნეობის ემოციურ ახალგაზრდა ვეტფერშალზე მოეხდინა!

ეს უცოლშვილო, თავხუჭუჭა ვეტფერშალი სულ იმას ცდილობდა, თავისი წითელი ულაყი მართლა ბაში-აჩუკისებურად ეჯირითებინა მინდორ-მინდორ, ფერმებსა და სოფელში. მაგრამ ეგ კი აღარ ვიცი, თავიდან ვინმემ უხუმრა თუ ეს თვითშთაგონებით დაიმართა – მეც ბაში-აჩუკი ვარო!!!

ფერმიდან კომბინირებულ საკვებს მუქთად გამოგატანდა, გოჭსა თუ ბატკანს დაგიკლავდა, სოფლის სასადილოში გაქეიფებდა, ოღონდაც მისთვის ბაში-აჩუკი დაგეძახათ!!!

სოფლელებსაც რა მისდიოდათ ან ამით რა შავდებოდა – ცხენდაცხენ მომქროლავ ვეტფერშალს როგორც კი თვალს შეასწრებდნენ ხოლმე, მაშინვე აღტაცების ყიჟინას დასცემდნენ.

– ბაში-აჩუკი, ბაში-აჩუკი!.. ბაში-აჩუკი მოდის!..

ამ ვეტფერშალმაც ეს ისე შეიშნოვა, ნათლობის სახელის დაძახებისას აღარავის აგონებდა, ხოლო შორიდან სადაც კი შეჯგუფულ ხალხს დაინახავდა, ცხენს ყელმოღერებით დააოთხებდა და აკეცილ ენიან მათრახს ჰაერში ხმალივით იქნევდა.

– ბაში-აჩუკი ვარ, ბაში-აჩუკიი!..

* * *

რაღაც ამდაგვარი ხდება დღევანდელ ქართულ მწერლობაშიც! ეს თავაწყვეტილი გრაფომანები – ზედმიყოლებით უშეცდომოდ ორიოდე წინადადებაც რომ ვერ გადაუბამთ – პერიოდულ პრესაში ხომ იბეჭდებიან და იბეჭდებიან და წიგნებსაც წიგნებზე სცემენ, მაგრამ ამასაც აღარ სჯერდებიან: შეხუმრებულ მწერლუკანა ძმაკაცებსა თუ სრულიად უპასუხისმგებლო ინტერვიუების მთითხნავ მოლიტერატურო დაქალმაჭანკლებს უტიფრად ავალდებულებენ – მეც დიდ მწერლად მომიხსენიეო!

ღმერთო, იქნებ შენ მაინც გადმოგვხედო – ეს ამოდენა ფეხისხმასაყოლილი გრაფომან-ეპიგონები რა კულაკურ-კამეჩურად იწევენ, რათა ძალდაძალ მოიპოვონ რაიმე ჯილდო... პრიზი... პრემია... პოპულარობა... წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე ბლიცკრიგული გაჭრა... ლიტერატურული ჯეკპოტის მოგება... კლასიკოსის წოდება!.. დიდება!.. უკვდავება!...

ერთი კარგად დააკვირდით საოჯახო ნადიმებს დამსგავსებულ პრეზენტაციებს – ამა თუ იმ მწერალთა შეუღწეველ კასტას ან ყარაჩოხულ საძმოს რა თავდამავიწყებელი ურთიერთხოტბა, ტაშ-ფერხული, დაფაზურნა, ჰუსარული ბუქნაობა, ჩარბუზანა და ბასტიბუბუ აქვთ გაჩაღებული!.. ბევრისთვის ჯერ მეტისმეტად ნაადრევ, თანაც მავნებლურად წარმართულ ტელეინტერვიუებში მავანნი ტუჩების პრეტენზიული ბურცვით რა მაღალ ფარდებში გვეტყლარჭებიან!.. მსოფლიოს რომელ სახელგანთქმულ მწერლებს ემიზნებიან და ეზმანებიან!.. თავ-თავიანთ უსუსურ ლიტერატურულ სამყაროს რომელი გენიოსი შემოქმედის მხატვრულ სამყაროს უტოლებენ და უდარებენ!!!

არადა, მართლა ბნელა?!

პროზა და მაწონი

თავანკარა პროზაული ნაწარმოები უნაკლოდ ჩატალებულ მაწონს უნდა ჰგავდეს – თავღია ქილა წაღმაუკუღმა რომ ატრიალ-აქანაონ, წვეთიც არ უნდა გავარდეს!!!

ამგვარი შედარება ერთ ძველ, ბავშვობისდროინდელ ამბავს მახსნებს!

ერთ ზაფხულს ჩვენს სოფელ **ოზაანში** თავის ნათესავთან თბილისიდან ბავშვებიანი ქალბატონი ჩამობრძანდა დასასვენებლად. იგი მეზობელი დედაკაცისაგან რძე-მაწონს ჯერ დღეჩაგდებით ყიდულობდა, მაგრამ რაკი მაწონი რძეზე ოთხი შაურით ძვირი ღირდა, ამიტომ გადაეწყვიტა, მხოლოდ რძეღა ეყიდა ხოლმე, მაწონი კი თვითონვე ჩაედედებინა – მაწვნის ჩადედებას რა უნდაო!!! მაგრამ თქვენ ნუ მომიკვდებით – რამდენჯერ არ ეცადა, იმან მაწონი ვერ ჩაიდედა!!!

ნირწამხდარი თბილისელი სტუმარი სრულიად ბუნებრივმა ფორიაქმა მოიცვა: თუკი იმ დედაკაცს უდედდება, აბა, მე რატომ ვერ ჩამიდედებია – მეც ხომ ვიცი მაწვნის ჩადედებაო?!

დიახ, იმ ქალაქელმაც იცოდა მაწვნის ჩადედება, მაგრამ მან ყურმოკვრით იცოდა მაწვნის ჩადედების მხოლოდ **ძირითადი საფეხურები**!!! ანუ: ანადუღარი რძე უნდა შევაციოთ, ჩავასხათ ქილებში, მოვურიოთ სადედი, დავხუროთ საფარებლები და შევფუთოთ! გარკვეული ხნის შემდეგ კი – წლის დროსა და სათავსოს ტემპერატურას გააჩნია – შესაფუთავი მოვაშოროთ, რათა ქილებს სიგრილემ დაჰკრას და ჩატალებული მაწონიც მალე მზად გვექნება!

რა თქმა უნდა, ამ ძირითადი საფეხურების ცოდნის გარეშე მაწონს ვერ ჩავადედებთ, მაგრამ მაწვნის ჩადედების უმთავრესი გამოცდილება და სიფაქიზე ამ ძირითად საფეხურებს შორის არის ჩამალული!!! ანუ: ჩასადედებელი რძე საჭიროზე ოდნავ ცხელიც რომ მოგვვიდეს, აგვეჭრება და არ ჩადედდება, ხოლო თუ გაგვიცივდა, იგივე დაემართება! სადედი თუ მეტი მივეცით, რძეს აამუავ-ააშრატებს, თუ დააკლდა, მაშინ ვერ შეადედებს! ქილები თუ მეტისმეტად სქლად შევფუთეთ, რძე ჩახურდება და უეჭველად აშრატდება, ხოლო თხლად შეფუთვისას გაცივდება და საერთოდ არ ჩაგვიდედდება! ქილებს შესაფუთავი თუ ძალიან ნაადრევად მოვაშორეთ, ეს ჩამაწვნების დაგვირგვინებას შეუშლის ხელს და მაწონი წყალწყალა გამოვა, ხოლო თუ შესაფუთავის მოშორება დაგვავიწყდა ან დავუგვიანეთ, ქილებს საჭირო სიგრილე ვეღარ დაჰკრავს, ჩახურდება და მაწონიც ამუავებულ-აშრატებული გამოვა!!!

აი, მაწვნის ჩადედების მარტივი, ყველასათვის ადვილად გასაგები და შესასრულებელი ძირითადი საფეხურების გარდა კიდევ რამდენი შუალედური ფაქიზი პირობის ცოდნა და ზუსტი დაცვა ყოფილა აუცილებელი!!!

* * *

ნებისმიერი მხატვრული ჟანრისა და მით უმეტეს, პროზაული ნაწარმოების „ჩადედების“ **ძირითადი საფეხურები**, ღვთის წყალობა, ყველამ იცის, ყველამ ისწავლა, უფრო ზუსტად, ყველას შეუძლია გაიზუთხოს, ვინც კი მოიგუნებებს: ახალმოდური გრძელი ან რაიმე ახირებული სათაური, პროლოგი, რაღაც ამბის მიბლანდ-მობლანდვა, ავტორისეული უთავბოლო ლაყაფი, ბავშვობისდროინდელი უფერული შთაბეჭდილებების უადგილოდ ჩაჩრა, უმიზნო დიალოგები, სექსი, ნარკუშები, უცენზურო აზროვნება, დაბოლილები, მაყუთბაზები... ბილწსიტყვაობის „აუცილებელი“ ულუფა... უცხოეთში უმიზნო, მაგრამ მოდური ყიალი, მკითხველების თავშესაქცევი ჩლუნგი ენაკვიმატობა, რაიმე ინტრიგა, კვანძის გახსნა, კულმინაცია, ეპილოგი და ეგ არი – პროზაული ნაწარმოებიც უნაკლოდ „ჩადედებულია“ და შეუძლიათ, ყინჩად მოითხოვონ როგორც სასურველი ლიტერატურული პრემია, ისე წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე წარდგენა!!!

არადა, მწერლის სახელის მოხვეჭის ყველა მსურველი ნეტავი ხვდება ანდა სურს თუ არა, ბოლოს და ბოლოს მიხვდეს: როგორც რძის ჩამაწვნებას სადედი, ისე მხატვრული ნაწარმოების „ჩამაწვნება-ჩატალებასაც“ სჭირდება აუცილებელზე აუცილებელი „სადედი“ – მწერლის ღვთაებრივი ნიჭიერება!!!

მუქარა თუ სინამდვილე!

„ღმერთმა ნუ ქნას, ეს გადაწყვეტილება მიიღოს ერდოღანმა, თურქეთის ეკონომიკას ბულდოზერით გადაუვლის ტრამპი“

აშშ-ის ხელისუფლება ანკარას ულტიმატუმს უყენებს. იმ შემთხვევაში, თუკი თურქეთი უარს არ იტყვის რუსეთისაგან „ეს-400“-ის სარაკეტო კომპლექსის შეძენაზე, ამერიკა შეწყვეტს „ეფ-35“-ის ტიპის გამანადგურებლის მართვისთვის თურქი პილოტების მომზადებას. გადაწყვეტილების მიღებამდე **რეჯეფ ტაიფ ერდოღანს** ვადა 31 ივლისამდე აქვს.

ანკარა ვაშინგტონის ერთ-ერთი მთავარი მოკავშირე და საერთაშორისო პარტნიორია. აღსანიშნავია, რომ აშშ თურქი პილოტების მომზადებაში ყოველ წელს 420 მილიონ დოლარზე მეტს ხარჯავს. მიუხედავად ამისა, თურქეთმა რუსეთთან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების შეძენის შესახებ შეთანხმება გააფორმა, რასაც აშშ და ნატოს სხვა წევრები ეწინააღმდეგებიან. თურქეთის მიერ ნატოს მთავარი მოწინააღმდეგის რუსეთისგან „ეს-400“-ის ყიდვამ შეესაძლოა, ნატოში თურქეთის წევრობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს.

როგორც ცნობილია აშშ-თურქეთის ურთიერთობებში გარკვეული დაძაბულობები არსებობდა **ფეთულაჰ გიულენის** და ქურთული მოძრაობის მხარდაჭერის გამო. ეს ურთიერთობები განსაკუთრებით გამწვავდა სირიის ჩრდილოეთ პროვინცია ადლიბში თურქეთის მიერ ოპერაციის „ზეთისხილის რტო“-ს წამოწყების შემდეგ. გამწვავების შემდეგი ტალღა იყო შარშან ამერიკელი პასტორის დაკავება.

ანალიტიკოსი **ამირან სალუქვაძე** მაშინ პროგნოზირებდა, რომ დაძაბულობის ტენდენცია შენარჩუნებული იქნებოდა და ჯერჯერობით ასე გრძელდება. იმის პროგნოზირება, თუ სანამდე გასტანს და რა შედეგებამდე შეიძლება მივიდნენ მხარეები, როგორც სალუქვაძე აცხადებს, ამ ეტაპზე რთული სათქმელია.

„ამ დაძაბულ ურთიერთობებს სხვა, უფრო ღრმა მიზეზებიც აქვს. ჯერჯერობით ნატოში თურქეთის წევრობის საკითხი დღის წესრიგში არ დგას, თუმცა, თუ რუსეთ-თურქეთის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება, ურთიერთობები ნატოს შიგნითაც დაიძაბება.

ნატო და აშშ საკმაოდ მწვავედ აღიქვამს რუსეთის ახალი ტექნოლოგიების დანერგვას ნატოს წევრ ქვეყნებში. განსაკუთრებით ეს ეხება მართვის სისტემებს, ავიაციას, საჰაერო თავდაცვას. ამ ჭრილში რუსული „ეს-400“-ის ტიპის საზენიტო კომპლექსების შეძენა უახლოეს პერიოდში დაძაბულობის შენარჩუნების მიზეზი იქნება. როგორც რუსეთის მხარე აცხადებს, კონტრაქტი გეგმის თანახმად ხორციელდება“, — აცხადებს ამირან სალუქვაძე.

იმ შემთხვევაში, თუკი კონტრაქტის შესრულება დაიწყება, სალუქვაძის განმარტებით, არ არის გამორიცხული ვაშინგტონმა სანქციების გარდა, სხვა ზომებიც გაატაროს.

„რთულად წარმომიდგენია თურქეთის მიერ ნატოს დატოვება, რადგან თურქეთი ჩრდილო-ატლანტიკურ ბლოკში გაცილებით ძლიერია, ვიდრე მის გარეშე. თუმცა, ბლოკში არსებობის აზრი იკარგება სამხედრო-ტექნიკურ სფეროსა და რეგიონულ საკითხებში მწვავე დაპირისპირების პირობებში. როდის მოხდება, ან მოხდება თუ არა დაძაბულ ურთიერთობებში გარდატეხის შეტანა, დღეს ვერავინ იტყვის“, — აღნიშნა For.Ge-სთან საუბრისას ამირან სალუქვაძემ.

ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **სოსო ცინცაძე** ამბობს, რომ ეს არ არის უბრალო გადაწყვეტილება, რომელიმე ქვეყანა რა იარაღს შეიძენს, ვინაიდან, აქ სიტუაციას დრამატიზმს მატებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი. პირველი და მნიშვნელოვანი ფაქტორი ცინცაძის განმარტებით ის არის, რომ ნატოს 70-წლიან ისტორიაში პირველი უპრეცედენტო შემთხვევა არის, როდესაც ნატოს ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა, ნატოს სამხრეთი ფლანგი და მთავარი მეგუშაგე ნატოს მთავარი მტერისგან ყიდულობს სუპერ სტრატეგიულ იარაღს.

„ეს არის მომენტი, რომელიც დრამატიზმს მატებს მთელ ამ სიტუაციას. არ მგონია, ერდოღანმა ასე იოლად დაუქნიოს ხელი ტრამპს. ვინაიდან, გარდა იმისა, რომ ამერიკა შეწყვეტს თურქი პილოტების მომზადებას, ასევე ლაპარაკია 9-მილიარდიან სამხედრო კონტრაქტზე. ამასთან როგორც ცინცაძე აცხადებს, დღეს ამერიკის ეკონომიკის სიმძლავრე იმის სრულ გარანტიას იძლევა, რომ თურქეთის ეკონომიკას მძიმე დღე ელის.

ამიტომ, არავის ვუსურვებდი იმ სიტუაციაში აღმოჩენას, რომელშიც დღეს ერდოღანი აღმოჩნდა. გასაგებია, რომ პუტინს ხვდება, მაგრამ ის საშინელი დანაკარგის კომპენსაციას, რაც ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ელის თურქეთს, ვერ შეძლებს რუსეთი, რომლის ეკონომიკა იტალიის ეკონომიკას ხან ეწევა, ხან არა.

თურქეთის ეკონომიკას ბულდოზერით გადაუვლის ტრამპი. ღმერთმა ნუ ქნას, ეს გადაწყვეტილება მიიღოს ერდოღანმა. იმიტომ, რომ ეს ძალიან ძლიერი დარტყმა იქნება ნატოსათვის, რომელსაც ძალიან გაუჭირდება თავისი პოზიციების შენარჩუნება“, — ამბობს სოსო ცინცაძე.

მისი თქმით, ასეთ შემთხვევაში ბუნებრივად დადგება საკითხი თურქეთის ნატოში ყოფნის თაობაზე, მაშინ, როდესაც ნატოს წესდება არ ითვალისწინებს რომელიმე წევრი ქვეყნის გარიცხვას.

„ამიტომ შეიქმნება რთული ვითარება. უკვე თითქოს გაჟონა ინფორმაციამ, რომ თურქეთი ემზადება, უარი თქვას ამ კომპლექსის შეძენაზე, რაც დიდი მარცხი იქნება რუსეთისათვის. ნებისმიერი გადაწყვეტილება, იყიდის, თუ არ იყიდის ამ კომპლექსს თურქეთი, ეს ასევე აისახება საქართველოზე იმიტომ, რომ ბევრი რამ შეიცვლება არა მხოლოდ რეგიონში, არამედ ნატოს არეალში“, — განაცხადა For.Ge-სთან საუბრისას სოსო ცინცაძემ.

ანალიტიკოსის, „სტრატეგიული ანალიზის ცენტრის“ დამფუძნებელის ზურაბ აგლაძეს განცხადებით, იმ შემთხვევაში თუკი თურქეთი უარს არ იტყვის რუსეთისაგან „ეს-400“-ის სარაკეტო კომპლექსის შეძენაზე, ამით ოფიციალური ანკარა ძალიან ბევრს წააგებს, ვიდრე მოიგებს.

„რუსეთი ამერიკასთან შედარებით სამხედრო მნიშვნელობის არ არის. თუ გადავხედავთ თურქეთის შეიარაღებას და ავიღოთ იგივე ავიაცია, ძირითადად ამერიკული შეიარაღებაა. ამიტომ, თურქეთი როგორც ნატოს წევრი გაცილებით მეტს დაკარგავს, ვიდრე მოიგებს. ვნახეთ, ამერიკის ერთმა განცხადებამ როგორ მდგომარეობაში ჩააყენა თურქული ლირა. აშშ-ს ძალიან დიდი ბერკეტი აქვს იმისთვის, რომ თურქეთი აიძულოს, უარი თქვას ამ კონტრაქტზე.

რა თქმა უნდა, თუ თურქეთი რაციონალურ პოლიტიკას ითამაშებს, თუმცა ერდოღანის პიროვნებიდან გამომდინარე, რომელიც პიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას პოლიტიკაში, გამიჭირდება იმის თქმა, რას გააკეთებს. დაველოდოთ, რას იზამს თურქეთი და რა საპასუხო ნაბიჯს გადადგამს აშშ. ვფიქრობ, ამერიკა არ წავა თურქეთის წინააღმდეგ ესკალაციაზე და არც ეკონომიკურ განადგურებაზე. თუმცაღა საფასურს ნამდვილად გადაიხდის თუქეთი“, — განაცხადა For.Ge-თან საუბრისას ზურაბ აგლაძემ.

თამთა ქარჩავა

მსოფლიოში 70 მილიონამდე იძულებით გადაადგილებული პირია

გაეროს ინფორმაციით, ყოველწლიურად იზრდება იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა, რის ძირითად მიზეზს წარმოადგენს საომარი ვითარებები და დაპირისპირებები მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში. ყოველდღიურად იძულებით გადაადგილების 37 000 შემთხვევა ფიქსირდება, რაც უკანასკნელი 70 წლის მანძილზე რეკორდული მაჩვენებელია. ვენესუელაში შექმნილი კრიზისის შემდეგ 4 მილიონზე მეტმა ადამიანმა დატოვა ქვეყანა, რაც უკანასკნელ პერიოდში სახალხო გადაადგილების ყველაზე მასშტაბურ მოვლენას წარმოადგენს მსოფლიოში.

გაეროს მოხსენების თანახმად, დღესდღეობით, ლტოლვილების 2/3-ზე მეტი მოდის სირიაზე, ავღანეთზე, სუდანზე, სომალსა და მიანმარზე. მხოლოდ სირიიდან 6.7 მილიონი ადამიანია იძულებით გადაადგილებული .

დონალდ ტრამპმა საარჩევნო კამპანია დაიწყო

დონალდ ტრამპმა ფლორიდის შტატში, ქალაქ ორლანდოში კამპანიის დაწყების შესახებ მხარდამჭერების წინაშე განაცხადა და მოუწოდა მათ, კიდევ 4 წლით შეინარჩუნონ მისი გუნდი ხელისუფლებაში. **„მე დღეს ვდგავარ თქვენს წინაშე, რათა ოფიციალურად გამოვაცხადო ჩემი წინასაარჩევნო კამპანია 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. გპირდებით, რომ არასოდეს დავუშვებთ თქვენს უკუსვლას“,** — განაცხადა ტრამპმა. მრავალი ათასი მხარდამჭერის წინაშე, ტრამპმა ტრადიციულად გააკრიტიკა დემოკრატები და განაცხადა, რომ მათ სურდათ, გაეტეხათ ქვეყანა.

საპრეზიდენტო არჩევნებში აშშ-ში 2020 წლის 3 ნოემბერს გაიმართება.

პრინცის ესკორტი 83 წლის ქალს დაეჯახა

როგორც „ბიბისი“ წერს, ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. პრინცი უილიამი და ქეით მიდლტონი ლონდონიდან უინძორში მიემართებოდნენ, როდესაც ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაციის ცნობით, მოხუც ქალს სამეფო წყვილის ესკორტში შემავალი პოლიციის მოტოციკლი შეეჯახა. ავტოსაგზაო შემთხვევა ლონდონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში — რიჩმონდში მოხდა. კენსინგტონის სასახლის მიერ გავრცელებული განცხადებით, კემბრიჯის ჰერცოგი და ჰერცოგინია მომხდარის გამო უკიდურესად შეშფოთებულები და დამწუხრებულები არიან.

რატომ არ დაეხმარა ზელენსკი აკანკალებულ მერკელს?

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განმარტა, რატომ არ დაეხმარა გერმანიის კანცლერს, როდესაც ანგელა მერკელმა მის გვერდით თავი შეუძლოდ იგრძნო და კანკალი დაიწყო. **„რაც შეეხება მერკელს... მე მის გვერდით ვიდექი და დამიჯერეთ, ის უსაფრთხოდ იყო.“** — განაცხადა ზელენსკიმ.

შეგახსენებთ, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი უკრაინის პრეზიდენტთან ვოლოდიმირ ზელენსკისთან შეხვედრის დროს ცუდად გახდა, მიზეზი, სავარაუდოდ, სიცხე და დეჰიდრატაცია გახდა. უცხოური მედიის მიერ გავრცელებულ ვიდეოში ჩანს, რომ მერკელი ჰიმნის დროს კანკალმა აიტანა, ის ცდილობდა, კანკალი შეეჩერებინა და ხელებს მდგომარეობა რამდენჯერმე შეუცვალა. ამ სიტუაციაში ვოლოდიმირ ზელენსკის რეაქცია არ გამოუხატავს და ის გაუნძრევლად იდგა.

ერთი საათის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, ანგელა მერკელს, რომელსაც მომავალ თვეში 65 წელი უსრულდება, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ჰკითხეს. მერკელმა პასუხად გაიღიმა და განაცხადა, რომ ყველაფერი რიგზეა და მისი თქმით, ეს სიცხის ბრალი იყო და წყლის მიღების შემდეგ თავი კარგად იგრძნო.

აშშ-ის ახალმა სავიზო წესებმა შესაძლოა, უცხოელებს სოცქსელებში სიფრთხილისკენ უბიძგოს

უცხოელებმა, რომლებიც საჯაროდ გმობენ ამერიკულ იმპერიალიზმს და ამავე დროს სურთ მაიამის პლაჟებზე დასვენება ან ლას-ვეგასის კაზინოებში პოკერის თამაში, ტვიტერში ტონი უნდა შეარბილონ.

ასევე უცხოელები, რომლებიც ფეისბუქში პოსტავენ, რომ ოცნებობენ ოდესმე ნიუ-იორკში ცხოვრებაზე, ცოტა უნდა გაფრთხილდნენ, რათა არ აღძრან ეჭვი, რომ სამუდამოდ აპირებენ აშშ-ში საცხოვრებლად დარჩენას.

მიზეზი?

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ვიზების მსურველებისგან ითხოვს, სოციალურ მედიაში პროფილები წარმოადგინონ დაახლოებით ორ ათეულამდე პლატფორმაზე, მათ შორის ფეისბუქსა და ტვიტერზე.

ახალი წესები, რომლებიც 31 მაისს შევიდა ძალაში, ვიზების მსურველთაგან არ მოითხოვს სოცქსელებში მათი პასპორტების წარმოდგენას.

მიუხედავად ამისა, საიმიგრაციო საკითხებში მომუშავე იურისტების თქმით, ახალმა მოთხოვნებმა შესაძლოა, სერიოზული დარტყმა მიაყენოს სოცქსელებში აზრთა ღია გაცვლა-გამოცვლას, პოტენციური იმიგრანტები შეიძლება უფრო ფრთხილი და თავშეკავებული გახდნენ იმასთან დაკავშირებით, თუ რას პოსტავენ და ვის უმეგობრდებიან სოცქსელებში.

„ხალხს შეეშინდება აშშ-ის პოლიტიკაზე საკუთარი აზრის გამოხატვა,“ განაცხადა ანდრეი რომანენკომ, რუსულენოვანმა იურისტმა სან-ფრანცისკოდან. **„ზოგი მოერიდება აშშ-ში მცხოვრები მეგობრების დამატებას, ვინაიდან შეიძლება იფიქრონ, რომ აშშ-ში მეგობართა ფართო ქსელი შესაძლოა, იმიგრაციის სურვილის მაჩვენებლად იქნეს მიჩნეული.“**

ახალი წესების შესახებ შარშან გამოცხადდა. ესაა ნაწილი დონალდ ტრამპის უფრო ფართო პროგრამისა, რომლის მიზანია აშშ-ის საზღვრებზე რეჟიმის გამკაცრება, რის შესახებაც მან ჯერ კიდევ 2016 წელს გააკეთა დაპირება.

ახალი წესების მიხედვით, თითქმის ყველა, ვისაც აშშ-ის ვიზის მოპოვება სურს – იმ შემთხვევაშიც კი, თუკი რამდენიმე დღით აპირებს ნათესავების მონახულებას, ვალდებულია სოცქსელებში საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია დაურთოს ვიზის მოსაპოვებელ განაცხადს.

ეს არ ვრცელდება იმ ქვეყნების მოქალაქეებზე, რომლებსაც მოცემული მომენტისთვის არ ეხებათ მოკლევადიანი სავიზო წესები. მაგალითად, უცხოელ ტურისტებსა და საქმიანი ვიზიტით მოგზაურებს, რომლებსაც უფლება აქვთ, 90 დღით უვიზოდ შევიდნენ აშშ-ს ტერიტორიაზე.

მაგრამ სამუშაო ვიზის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ასეთი ინფორმაცია, მაგალითად, Linkedin-ის პროფილი.

„ეროვნული უშიშროება ჩვენი მთავარი პრიორიტეტია ვიზების კანდიდატთა შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. და აშშ-ში შესვლის მსურველი ყოველი პოტენციური მოგზაური და იმიგრანტი საფუძვლიან შემოწმებას გადის უსაფრთხოების თვალსაზრისით,“ – განუცხადა სახელმწიფო დეპარტამენტმა „რადიო თავისუფლებას“.

20 პლატფორმა

ახალი წესებით ვიზაზე განაცხადის შეტანისას მსურველმა უნდა წარმოადგინოს სოცქსელებზე საკუთარი იუზერნეიმი, რომელიც უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში გამოუყენებია. ეს პლატფორმებია: Ask FM, Douban, Facebook, Flickr, Google+, Instagram, LinkedIn, MySpace, Pinterest, QZone, Reddit, Sina Weibo, Tencent Weibo, Tumblr, Twitter, Twoo, Vine, |Kontakte, YouKu, და YouTube.

გამონაკლისებს შორის არის SnapChat და გასაცნობი აპლიკაცია Tinder. სახელმწიფო დეპარტამენტის თქმით, მოგვიანებით სიას სხვა პლატფორმებიც მიემატება. თუ სოცქსელებში ერთზე მეტ პლატფორმაზე ხართ აქტიური, განაცხადის შეტანისას ყოველი მათგანის იუზერნეიმი უნდა წარმოადგინოთ.

ვისაც არასოდეს არც ერთ სოციალურ მედიაში არ ჰქონია ანგარიში, მას ვიზაზე უარი არ ეთქმება, აზუსტებს სახელმწიფო დეპარტამენტი.

საიმიგრაციო საკითხების ლონდონელი ადვოკატის კარნიგ დუკმაჯიანის თქმით, მას არ მიაჩნია, რომ საიმიგრაციო სამსახურის მუშაკები ყოველი განმცხადებლის ანგარიშებს შეისწავლიან სოციალურ ქსელებში.

ახალ წესებს ალბათ უფრო მაშინ გამოიყენებენ, როცა საჭირო გახდება იმ პირთა შესახებ ინფორმაციის დაზუსტება, რომლებიც რაიმე მიზეზით აღძრავენ ეჭვებს.

„არ ვიცით, როგორ აპირებენ ამ წესების გამოყენებას ან საერთოდ აქვთ თუ არა იმის რესურსები, რომ ამ ინფორმაციის დამუშავება შეძლონ,“ – ამბობს დუკმაჯიანი. მისი აზრით, ფართო მასშტაბის შემოწმებებმა შესაძლოა, შეანელოს ვიზების დამუშავების პროცესი.

ახალი წესების შემოღებამდეც აშშ უკვე ითხოვდა საიმიგრაციო თუ არასაიმიგრაციო ვიზების მსურველთაგან დეტალურ ინფორმაციას ყოფილი მოგზაურობების, ოჯახის წევრების, ყოფილი მისამართების, დამსაქმებლებისა და განათლების შესახებ.

ვიზების სააპლიკაციო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ფოტოებიც. ზოგიერთი კატეგორიის ვიზისთვის აუცილებელია ციფრული სურათების წარმოდგენა, სხვა კატეგორიის ვიზებისთვის – დაბეჭდილი სურათებისა.

დუკმაჯიანის თქმით, მართალია, მისი ზოგიერთი კლიენტი უკმაყოფილოა ახალი წესებით, მაგრამ „არავის გამოუხატავს აღელვება“.

უცხოელებმა, რომლებიც აშშ-ში მოგზაურობას გეგმავენ, რადიო თავისუფლებას განუცხადეს, რომ ახალი მოთხოვნები მათ არ გადააფიქრებინებს აშშ-ის ვიზაზე განაცხადის შეტანას.

„ეს მე არ მაფიქრებს, ვინაიდან არაფერი მაქვს დასამალი. ვფიქრობ, ჩემი მეგობრებიც ასე არიან. სხვათა შორის, სოციალური მედიის შესახებ ინფორმაცია რომც არ წარმოადგინო, ინტერნეტში შეიძლება მისი მოპოვება“, – უთხრა რადიო თავისუფლებას რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში მდებარე კუნძულ სახალინზე მცხოვრებმა მარია გორელოვამ, რომელიც წელს პირველად მიემგზავრება აშშ-ში. მან თავისი ვიზა ახალი წესების შემოღებამდე მიიღო.

სანკტ-პეტერბურგში მცხოვრებ **არტიომ ტიხონოვი,** რომელიც რამდენჯერმეა აშშ-ში ნამყოფი, ახალ წესებს „უსიამოვნოს“ უწოდებს, მაგრამ, მისი თქმით, დაემორჩილება მათ, ვინაიდან მოსწონს აშშ-ში მოგზაურობა.

„ეს პიროვნების თავისუფლებაზე ზეწოლაა. მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ეს მთავრობის პოლიტიკაა. უგულებელყავით და შეეცადეთ, არ იფიქროთ ამაზე. ეს სახელმწიფო მანქანის მოთხოვნებია,“ – დასძენს ის.

მასკარადი „ბენ-გურიონში“

ქართველი არალეგალების ისრაელში შეღწევის ახალი მეთოდი

ისრაელის სამართალდამცველებმა გამოავლინეს ქვეყანაში ქართველი არალეგალების შეღწევის საინტერესო და ორიგინალური ხერხი – კერძოდ, ისრაელში ჩამოსვლისთანავე არალეგალებს აცმევდნენ აეროპორტის თანამშრომლის უნიფორმებს, რის შემდეგაც ისინი მშვიდად, ყოველგვარი შემოწმების და კონტროლის გარეშე შედიოდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე.

ამ სქემით მოქმედებდა დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელსაც 2017 წლიდან ქართველი არალეგალები ისრაელში შეჰყავდა.

გამომძიებლების ინფორმაციით, დანაშაულებრივი სქემა იყო კარგად ორგანიზებული და ყველა დეტალი გააზრებული. ამის გამო დანაშაულებრივი დაჯგუფება დიდი ხნის მანძილზე უპრობლემოდ ახერხებდა საქმიანობას.

საზღვრის არაკანონიერი გადაკვეთა ხდებოდა თავისებური გრაფიკით – კვირაში 3-4-ჯერ, 2-3 -კაციანი ჯგუფებისთვის.

იმისთვის, რომ აეროპორტის თანამშრომლებს არ გასჩენოდათ ეჭვები და შეკითხვები, არალეგალები ჩადიოდნენ არა საქართველოდან, არამედ სხვა ქვეყნებიდან – პოლონეთიდან, უნგრეთიდან, ესპანეთიდან, ბრიტანეთიდან და ა.შ.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს შორის იყვნენ თელ-ავივის აეროპორტის სხვადასხვა სამსახურების თანამშრომლებიც, მათ შორის ისეთებიც, ვისაც ჰქონდათ წვდომა თვითმფრინავებთან – ისინი ხვდებოდნენ არალეგალებს და აცმევდნენ დამლაგებლების ყვითელ უნიფორმას.

შემდეგ საქართველოს მოქალაქეები ელოდებოდნენ მორიგეების შეცვლას – ზოგჯერ რამდენიმე წუთი, ზოგჯერ კი – რამდენიმე საათი და საბოლოოდ გადიოდნენ ქალაქში სამსახურებრივი გასასვლელით, ყოველგვარი შემოწმების და კონტროლის გარეშე.

იქ მათ ელოდებოდათ წინასწარ შეკვეთილი ტაქსი, რომელსაც მიჰყავდათ დანიშნულების ადგილამდე.

ეს რთული სქემა საკმაოდ ძვირადღირებული იყო – 8000 – 10000 დოლარი თითო ადამიანისგან.

პოლიციის გენერალმა ელი ასაიაგმა, რომელიც ხელმძღვანელობს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებას, განაცხადა, რომ ეს არაა პირველი მსგავსი შემთხვევა, აეროპორტის უნიფორმა ქვეყანაში არალეგალურად შესაღწევად ადრეც ფართოდ გამოიყენებოდა.

თუმცა, აქამდე პოლიცია აკავებდა მხოლოდ ცალკეულ არალეგალებს, ამჟამად კი აყვანილია მთელი დანაშაულებრივი ჯგუფი.

მისი თქმით, დანაშაულებრივ ჯგუფს ჰყავდა თანამზრახველები საქართველოში, რომლებიც პოულობდნენ პოტენციურ არალეგალებს და აკონტროლებდნენ მათ თვითმფრინავში ჩასხდომამდე.

ჯგუფის წევრებს შორის ძალიან მკვეთრად და მკაცრად იყო გაყოფილი ფუნქციები – ფულის მიღების უზრუნველყოფა, ლოჯისტიკა, აეროპორტში გადაადგილება, აეროპორტიდან დანიშნულების ადგილამდე არალეგალის ჩაყვანა, ბინების ქირაობა და ა.შ.

თელ-ავივის აეროპორტის ადმინისტრაციის თქმით, ეს საქმე არანაირად არ ეხება აეროპორტის საქმიანობას და ჯგუფის უდიდეს ნაწილს წარმოადგენდნენ საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომლები.

ოფიციალური ინფორმაცია დაჯგუფების გამოვლენის თაობაზე გავრცელდა 17 ივნისს, როდესაც ისრაელის პოლიციამ დააკავა 6 ეჭვმიტანილი და დაკითხა 8. მათ ბრალად ედებათ 2017 წელს ჩამოყალიბებული დანაშაულებრივი ქსელის წევრობა.

წინასწარი ინფორმაციით, დანაშაულებრივმა ჯგუფმა ისრაელში ათასზე მეტი ქართველი არალეგალი შემოიყვანა.

საიდუმლო გამოძიება გრძელდებოდა რამდენიმე თვე. მასში მონაწილეობდნენ პოლიციის და პროკურატურის წარმომადგენლები.

როგორც ცნობილია, 2017 წლის 17 ოქტომბრიდან ისრაელში მოქმედებს ახალი წესი, რომელიც იძლევა საქართველოს და უკრაინის მოქალაქეების მხრიდან თავშესაფარის მოთხოვნის სწრაფი განხილვის და შემდეგ მათი ასევე სწრაფი დეპორტაციის საშუალებას.

ასეთი ნორმის შემოღების მიზეზი გახდა ის, რომ არალეგალები, რომლებიც ხშირად ისრაელში კანონიერი გზით შემოდიან, მაგალითად, როგორც ტურისტები, შემდეგ ითხოვენ თავშესაფარს. ვიდრე მოთხოვნა განიხილება, სახელმწიფოს არა აქვს მთხოვნელის დეპორტაციის უფლება.

ისრაელის შსს-ს მონაცემებით, ამჟამად ქვეყანაში იმყოფება 2-ჯერ მეტი არალეგალი უკრაინიდან და საქართველოდან, ვიდრე აფრიკის ყველაზე ღატაკი ქვეყნებიდან. თავშესაფრის მთხოვნელთა კატასტროფული ზრდა აფერხებს ისრაელის მიგრაციის სამსახურის ნორმალურ მუშაობას, შესაბამისად, მოთხოვნების განხილვა გრძელდება თვეების მანძილზე, ამ დროს კი ეს ადამიანები, უკეთეს შემთხვევაში, იმყოფებიან ისრაელის მთავრობის კმაყოფაზე.

ოფიციალური თელ-ავივის პოლიტიკის გადახედვა მოხდა იმის შემდეგ, რაც მთავრობამ მიიღო საექსპერტო დასკვნები იმის თაობაზე, რომ არც უკრაინა და არც საქართველო არ არიან საშიშ ქვეყნებში და იქ მოქალაქეებს არ ემუქრება პოლიტიკური თუ სხვა ფაქტორების გამო დევნა. ხოლო ეკონომიკური გაჭირვება ვერ ჩაითვლება თავშესაფარის მიღების მიზეზად.

VESTI.CO.IL

◎ წინ, საქართველოვ!

მათე გოქაძე ევროპის ჩემპიონია!

იტალიის ქალაქ ფაენცაში დაიწყო ჭაბუკ ფალავანთა ევროპის ჩემპიონატი, სადაც წარმატებით ჩაება საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები: მათე გოქაძემ (110 კგ) ოქროს, დიმიტრი ხაჩიძემ (55 კგ) კი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

გოქაძემ ფინალამდე სამი მეტოქე დაამარცხა: უნგრელი ადოლფ ბაზო, ბელარუსი ილია შუმჩიკი და თურქი ომერ აიგული, ხოლო გადამწყვეტ პაექრობაში ჩვენებურმა რუსეთის ნაკრების წევრ საიდ მუსაევს 8:0 აჯობა და ჩემპიონობა მოიპოვა.

რაც შეეხება ხაჩიძეს, ძირითად ბადეში გამოსვლა მან მერვედფინალში დაასრულა, თუმცა, დამამშვიდებელში ქართველმა მოჭიდავემ ზედიზედ სძლია ნორვეგიელ კასპერ ოევერბს, გერმანელ აარონ ბელშიდტს, უკრაინელ ედუარდ სტრილჩუკს და მესამე ადგილი დაიკავა.

თამაზ პატარიძე

◎ ევროტურნირები

პირველი მეჯოქეები

შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში გაიმართა პოპულარული ევროპული საკლუბო ტურნირების პირველი ეტაპის კენჭისყრა, რომელმაც გამოავლინა ქართული კვარტეტის მეტოქეთა ვინაობა.

განსაკუთრებით რთული გამოცდის ჩაბარება მოუწევს ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტ „საბურთალოს“, ვისაც ორრაუნდიანი დუელი საერთაშორისო სარბიელზე საკმაოდ ხშირად მოასპარეზე ტირასპოლის „შერიფთან“ ელის (9 ან 10 ივლისს სტუმრად და 16 ან 17 ივლისს თბილისში).

სხვათა შორის, განთესილთა შორის „სელტიკი“, „სლოვანი“, „ყარაბაღი“ და „დიუდელანჟი“ იყვნენ, ამიტომ გარკვეულწილადშეიძლება ითქვას, რომ გაგვიმართლა კიდეც, მაგრამ...

მოლდოველთა გენერალური დირექტორი ახლო წარსულში მათი ლეგენდარული კაპიტანი ვაჟა თარხნიშვილია, დუბლების მთავარი მწვრთნელი — შოთა მახარაძე, შეტევათა ერთ-ერთი ლიდერი კი — ფლანგის ბრაზილიელი მოთამაშე რიბეირო, რომელიც გორის „დილაში“ გამოდიოდა.

მის გარდა, ლეგიონერთა ფართო სპექტრში ვხვდებით ხორვატეთის, პოლონეთის, სერბეთის, ბურკინა ფასოს, უკრაინის, ესპანეთის, ბელარუსის, დანიისა და კამერუნის წარმომადგენლებს. როგორც შევიტყვეთ, ეს სია, სავარაუდოდ, დარჩენილ სატრანსფერო პერიოდში კიდევ უფრო შეივსება.

ვითარების სრულად წარმოსაჩენად 45 წლის ხორვატ მწვრთნელ ზორან ზეკიჩის შეგირდთა მიღწევებიც გავიხსენოთ: ქვეყნის ჩემპიონი — 17, თასი — 10, სუპერთასი — 8, დსთ-ს თასი — 2. ისინი წარმატებით იცავენ ტიტულს მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატშიც, სადაც 13 ტურის შემდეგ 11 გამარჯვებითა და 2 მარცხით სათავეში უდგანან სატურნირო ცხრილს.

ცნობისათვის: შარშან „შერიფმა“ გათამაშებიდან საქართველოს მაშინდელი ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“ გამოთიშა — 1:2, 3:0.

რაც შეეხება ევროპალიგას, იქ ყველაზე სერიოზული მოწინააღმდეგე სწორედ რიონისპირელებს შეხვდათ ჩიმკენტის „ორდაბასის“ სახით, რომელსაც კახი ცხადაძე თავკაცობს. ისიც სათქმელია, რომ ლეგიონერთა სიმცირეს არც ყაზახური კლუბი უჩივის: არგენტინელთა, ბრაზილიელთა, ბოსნიელთა, უკრაინელთა, სამხრეთაფრიკელთა, სენეგალელთა და კონგოელთა სიმრავლე კიდევ უფრო მძიმედ გადასალახავ წინაღობას უქმნის ფინანსურ კრიზისში ჩავარდნილ იმერლებს (11 და 18 ივლისი).

დავძენთ, რომ იმავე დღეებში საჩხერის „ჩიხურა“ ლუქსემბურგის „ფოლასთან“ მოსინჯავს ძალებს, თბილისის „დინამო“კი — სან მარინოს „ლა ფიორიტასა“ და ანდორის „ენდორგანის“ წყვილში გამარჯვებულთან“.

კოპა ამერიკის პირველი ტურის ფინიშზე მოქმედმა ჩემპიონმა ჩილემ იაპონიას გადაურბინა — 4:0 და ყველას აგრძნობინა, რომ არც წლეულს იქნება მასთან შეხვედრა ვინმესთვის იოლი გასეირნება.

ამ ფონზე მოულოდნელობად შეიძლება შეფასდეს ბრაზილიელთა წაფორხილება, მეორე ტურში ვენესუელასთან — 0:0, თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ტურნირის მაპინძლებს 2 გოლი გაუუქმეს.

პერუ — ბოლივია 3:1.

გიორგი შოთაძე

◎ ფორუმი

ისინი მინსკში იბრძოლებენ

რამდენიმე დღეც და მინსკში მეორე ევროპული თამაშები დაიწყება. ამ ტურნირში მედლებისთვის საქართველოს ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეებიც იბრძოლებენ. „კლასიკოსებს“ ბელარუსის დედაქალაქში ექვსი ფალავანი ეყოლებათ: დავით ჩხარტიშვილი (60 კგ), შმაგი ბოლქვაძე (67), გელა ბოლქვაძე (77), რობერტ კობლიაშვილი (87), რევაზ ნადარეიშვილი (97) და იაკობ ქაჯაია (130).

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ამჟამად დუშეთში ემზადება და მინსკში ისიც 22 ივნისს სრული შემადგენლობით გაემგზავრება. საქართველოს სპორტის ღირსებას დაიცავენ: ლაშა ლომთაძე (57 კგ), ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (65), ავთანდილ კენჭაძე (74), სანდრო ამინაშვილი (86), ელიზბარ ოდიკაძე (97) და გივი მაჭარაშვილი (125). როგორც ვხედავთ, ნაკრების შემადგენლობაში არ არის ერთ-ერთი ლიდერი — მძიმეწონოსანი გენო პეტრიაშვილი, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ოპერაცია გაიკეთა.

ლექსო ცინცაძე

◎ მძლეოსნობა

ეროვნული - ევროპულების წინ

სხვადასხვა რეგიონის 200-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა მძლეოსანთა საქართველოს ჩემპიონატში, რომელსაც თბილისმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში საპრიზო ადგილებისთვის რამდენიმე ერევნელი ათლეტიც იბრძოდა. მათგან თავი გამოიჩინა ლილიტ ჰარუთინიანმა, რომელსაც ორი ოქროს მედალი ერგო. ქართველი მძლეოსნებისთვის ეს იყო ძალთა კიდევ ერთი შემოწმება მნიშვნელოვანი კონტინენტური პაექრობების წინ: შარშანწინ ევროპის ჩემპიონატის მესამე ლიგაში ჩვენებს ბოსნია-ჰერცეგოვინის გუნდმა აჯობა, მაგრამ დოპინგის გამოყენების გამო მას დისკვალიფიკაცია მისცეს და ქართველმა მძლეოსნებმა მეორე ლიგაში აინაცვლეს — წლეულს 10-11 აგვისტოს ხორვატეთში იასპარეზებენ. უფრო ადრე - 9-15 ივლისს შვედეთი 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. იქ

გამოსვლის უფლება უკვე მოპოვებული აქვთ გიორგი მუჯარიძეს (ბირთვი), ნინო წიქვაძესა (ურო) და ლაშა-გიორგი გურგენიძეს (ურო). შეიძლება, მათ რიგებს შეუერთდეს 400 მეტრზე მორბენალი მინდია ენდელაძეც. საგზურის მოსაპოვებლად ის მოლდოვის ტურნირზე 22-25 ივნისს მოსინჯავს ძალებს. ივლისში ევროპის ახალგაზრდობის ბაქოს ოლიმპიურ ფესტივალზე მედეა შონია, ბორის ფაიქიძე, გიორგი ქურიძე და გიორგი ყეინაშვილი გამოვლენ.

აქვე საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებულთა ვინაობას გაუწყებთ: 100 მ. **ნინო გომარელი (თბილისი, 12.77), ლუკა ყუფუნია (თბილისი, 11.16);** 200 მ. **ნინო გომარელი (26.74), მინდია ენდელაძე (ახალციხე, 22.82),** 400 მ. **ნინო გომარელი (1.01.77), მინდია ენდელაძე (48.39),** 800 მ. **ლილიტ ჰარუთინიანი (სომხეთი, 2.16.56), ვიტალი ბრეჟნევი (თბილისი, 2.01.08),** 1500 მ. **ლილიტ ჰარუთინიანი (4.49.83), ვიტალი ბრეჟნევი (4.09.86),** 3000 მ. **მარიამ ფხალაძე (ჭიათურა, 11.20.20), დავით ხარაზიშვილი (თბილისი, 8.58.33),** 5000 მ. **მარიამ ფხალაძე (20.40.80), დავით ხარაზიშვილი (15.19.63),** სიგრძე. **მედეა შონია (თბილისი, 5.52), ბაჩანა ხორავა (ზუგდიდი, „ბუბა“, 7.78),** სიმაღლე. **მარიამ მწითური (თბილისი, 155), ლუკა ივანეიშვილი (ქუთაისი, 200),** სამხტომი. **ირა მიკიტიუკი (12.67), ლაშა ღულელაური (ორივე - თბილისი, 16.48),** ჭოკი. **სალომე ინჯგია (3.00), საბა სოსელია (ორივე — თბილისი, 4.60),** ბირთვი. **სოფიკო შათირიშვილი (ოზურგეთი, 15.33), გიორგი მუჯარიძე (გორი, 20.27),** ბადრო. **ვიქტორია გოგოჭური (40.71), თემურ აბუაშვილი (50.56),** შუბი. **1. ანა ჩოხელი (30.00), ალექსანდრე მარუტიანი (62.30),** ურო. **1. ნინო წიქვაძე (62.16), ლაშა-გიორგი გურგენიძე (ყველა — თბილისი, 63.50),** ამანათრბენი. ქალები. **1. თბილისი (2.31.37), 2. ახალციხე (2.34.36), 3. ვანი (2.43.39).** ვაჟები. **1. თბილისი — 2(2.08,19), 2. თბილისი — 1 (2.08.34), 3. ახალციხე (2.08.84).**

გივი გაგუა

◎ ჩოგბურთი

კალაშნიკოვა მეოთხედფინალში

ესპანეთის ქალაქ მალიორკაში დაწყებულ ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 250 ათასი ევრო) პირველი გამარჯვება იზეიმა თბილისელმა ოქსანა კალაშნიკოვამ, რომელიც წყვილთა პაექრობაში ავსტრალიელ მონიკა ადამჩაკთან ერთად ჩაება. ქართულ-ავსტრალიურმა დუეტმა სტარტზე ბელარუს ლიძია მაროზავასა და ავსტრალიელ სტორმ სანდერსს 4:6, 7:5, 10:7 აჯობა და მეოთხედფინალში გავიდა. ოქსანასა და მონიკას მომდევნო მეტოქის ვინაობა დღეს ბელგიელი კირსტენ ფლიპკენსი - შვედი იოჰანა ლარსონისა და პუერტო რიკოელ მონიკა

პუიგი — ლატვიელ ანასტასია სევასტოვას დაპირისპირებაში გაირკვევა.

ნიკოლოზ ბასილაშვილი გერმანიის ქალაქ ჰალეში ვაჟთა ტურნირის (საპრიზო ფონდი 2 219 150 ევრო) პირველივე წრეში იტალიელ მატეო ბერეტინისთან 4:6, 4:6 დამარცხდა. ეს უკვე მესამე ტურნირია, ქართველი ჩოგბურთელი სტარტზევე რომ ეთიშება შეჯიბრებას.

ლაშა დიდია

აბაშელები ფაროსანას ებრძვიან

სურსათის ეროვნული სააგენტო აბაშის მუნიციპალიტეტში, კერძოდ, ანჯელის მასივებში, აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებს სპეციალიზებული ტექნიკის გამოყენებით ატარებს. საყანე ფართობების პერიმეტრი ცივი შესხურების მეთოდით მუშავდება.

სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე ფაროსანას გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ბუფერულ ზონებში, საყანე ფართობების მიმდებარედ დამონტაჟებულია „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგურები და მავნებლის დამჭერი ფერომონიანი ხაფანგები. აღნიშნული სადგურების მეშვეობით ხდება მავნებლის მოზიდვა და შემდეგ პრეპარატის შესხურებით მისი განადგურება.

იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, აჭარის რეგიონების იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მავნებელი ფიქსირდება, წამლობა თერმული ნისლის ტექნოლოგიითა და ცივი შესხურებით ყოველდღიურად მიმდინარეობს.

ანჯელის ტერიტორიაზე წამლობას საკოორდინაციო მართვის ცენტრისა და მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლებთან ერთად თვალს ადევნებენ მეფუტკრე ფერმერები, რომლებიც აცხადებენ, რომ წამლობა მათთან თანამშრომლობით დაიგეგმა და მცენარეების ყვავილობის ფაზის დასრულების შემდეგ დაიწყო. ფუტკრის მაქსიმალური დაცვისათვის თერმული ნისლით წამლობა მიმდინარეობს 21:30 საათიდან, როცა ფუტკარი დაბინავებულია.

დღეის მონაცემებით, დასავლეთ საქართველოში თერმული ნისლის ტექნოლოგიით დამუშავებული 1 935 ჰა ფართობი; ცივი შესხურების მეთოდით – 12 187 ჰა ფართობი. იმ სოფლებში, სადაც მავნებლის მაღალი რაოდენობა ფიქსირდება, დამონტაჟებულია 36 690 „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგური და 3 074 მონიტორინგის ფერომონი. დამჭერ ხაფანგებზე დაკვირვება და მონიტორინგი აქტიურად მიმდინარეობს.

თბილისში „აიპლიუსის“ მაღაზია გაქურდეს

თბილისში პეკინის 11 ნომერში მდებარე „აიპლიუსის“ მაღაზია გაქურდეს.

სავარაუდო დამნაშავეებმა ჩაამტვრიეს მაღაზიის წინა ფასადი და მაღაზიის ვიტრინაზე განთავსებული ძვირადღირებული მობილური ტელეფონები წაიღეს.

მაღაზიაში ამბობენ, რომ, სავარაუდოდ, 30-მდე ტელეფონია წაღებული და ზარალი, დაახლოებით, 50 ათას ლარამდეა. „აიპლიუსში“ აცხადებენ, რომ ბოლო პერიოდში ამ მაღაზიის ქურდობის უკვე მეორე შემთხვევა დაფიქსირდა.

სამეთვალყურეო კამერის ჩანაწერების მიხედვით, დამნაშავეები, სავარაუდოდ, არასრულწლოვნები იყვნენ.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე – ქურდობის მუხლით დაიწყო.

სოფელ ჩორჩანთან ავტომობილი არხში გადავარდა



ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანთან ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. თვითმხილველების თქმით, „მერსედესის“ მარკის მსუბუქი ავტომანქანა გზის გვერდზე, რამდენიმემეტრიან არხში გადავარდა. ინფორმაციას tv9news.ge ავრცელებს.

დაშავებული ორი მამაკაცი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ახალციხის რეფერალურ ჰოსპიტალში გადაიყვანა. შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

35 წლის შვილმა დედისა და 5 ადამიანის ცოცხლად დაწვა სცადა

ძუთაისში მომხდარი საზარელი ფაქტის შესახებ დამატებითი დეტალები ხდება ცნობილი. როგორც ირკვევა, 35 წლის ირაკლი კანკავამ დედის ნანა ბერიას საცხოვრებელი სახლი დაწვა.

შედეგად სულ 7 ადამიანი დაშავდა, აქედან ყველაზე პატარა 10 წლისაა. დედა-შვილის მდგომარეობა კი მძიმეა.

ირკვევა, რომ ბერიას კუთვნილი ბინა იპოთეკით არის დატვირთული. ამ ეტაპზე უცნობია, უკავშირება თუ არა მომხდარი ქონებრივ დავას.

მეზობლები ამბობენ, რომ გაიგეს ნანა ბერიას ხმა, რომელიც ყვიროდა, რომ მისი შვილი კორპუსის დაწვას აპირებდა. მანამდე კი მეზობლებმა დედა-შვილის ჩხუბის ხმა გაიგეს.

სანთელი

ერთგულებისა და სიყვარულის კაცი ოლეგ თოდუას ხსოვნას

„მკვდრად იგი თქმულა, ვის ქვეყნად სახელი არ დარჩენია!“

შენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ სულით ხორცამდე შეგვძრა.

ჩვენო ერთგულო და კეთილო მოყვარეო, გამორჩეული იყავი კარგი ოჯახიშვილობით, სამაგალითო და მისაბაძი სტუმართმოყვარეობითა და მასპინძლობით, კეთილშობილებით, გულისხმიერებით. შენი ცხოვრების არჩეული გზა იყო სამართლიანი, პრინციპული, ერთგულებით გამობრძმედილი, მაგრამ, სამწუხაროდ – მოკლე.

მადლობა შენ, რომ სიყვარულზე დაფუძნებული ლამაზი ოჯახის სახელოვანი, ერთგული მამა და მეუღლე იყავი.

დაგილოცავთ გზას საუკუნო სასუფეველში, გვჯერა, რომ პირნათლად წარდგები უფლის წინაშე, სამუდამო განსასვენებელს დაიმკვიდრებ ღირსეულ მშობლებთან, ქალბატონ ციალასთან, ბატონ ანდროსთან და სხვა შენს საყვარელ ადამიანებთან ერთად.

ყოველთვის კეთილი მოგონებებით უკვდავყოფთ შენს ღირსეულ სახელს.
საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, დიდებულო ადამიანო.
მშვიდობით, ჩვენო ოლეგ!

სიდედრი ლამარა ვაჩეიშვილი, ცოლისძმები სიმონ, მამუკა ვაჩეიშვილები, რძლები მაია დარსალია, თამილა ფირცხალავა, ცოლისძმის შვილები ნათია, რიტა, ლაურა, თამუნა, მურად ვაჩეიშვილები ოჯახებით, ნინო ვაჩეიშვილი ოჯახით, მარინა კანდელაკი და მარნელი უახლოესი მეზობლები.

ჟანა, ნონა, თემურ ბრელიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ მწუხარებაში მყოფ მეუღლეს ინეზა ვაჩეიშვილს, შვილებს თეა, ეკა, მაკა თოდუებს, სიდედრს ლამარას, ცოლისძმებს სიმონ და მამუკა ვაჩეიშვილებს და მათ ოჯახებს სიძის

ოლეგ თოდუას

გარდაცვალების გამო.

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციაში ცვლილების შეტანა

ხ ვ ა ნ ჭ კ ა რ ა

(რეგ. №1; თარიღი: 14.07.2005 წ.)

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 19 ივნისის №52106/06 ბრძანების საფუძველზე, შეიცვალა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – საქპატენტში რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო „ხვანჭკარას“ წარმოების სპეციფიკაცია.

აღნიშნული ინფორმაცია, „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენსა და ერთ ცენტრალურ გაზეთში. მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში საქპატენტში წარმოდგენილი შენიშვნები და დამატებითი ინფორმაცია შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს. თუ 3 თვის განმავლობაში საქპატენტში არ შემოვა რაიმე ინფორმაცია აღნიშნულ მასალებთან დაკავშირებით, გამოქვეყნებული მონაცემები ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების „ხვანჭკარას“ შესახებ აისახება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების სახელმწიფო რეესტრში.

სპეციფიკაციას დაემატოს მე-15 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

,,15. გარდამავალი დებულებები

ამ წარმოების სპეციფიკაციის მე-9 პუნქტის მოთხოვნათა მიუხედავად, ყურძნის გადამუშავება და ღვინის წარმოება დასაშვებია ხვანჭკარას მიკროზონის ფარგლებს გარეთაც, საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, 2020 წლის დეკემბრამდე.“

ქართული დოკუმენტური ფილმები ბოლონიის კინოფესტივალზე

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში დაცული ქართული დოკუმენტური მოკლემეტრაჟიანი ფილმები: „თუჯი“, „ხაბაზები“, „მეკვლე“ და „არაბესკები ფიროსმანის თემაზე“ ბოლონიის კინოფესტივალზე „ილ ჩინემა რიტროვატო“ (Il Cinema Ritrovato) 27 ივნისს იქნება ნაჩვენები.

მაყურებელს ფილმებს წარუდგენს ჩვენების კურატორი, ეროვნული არქივის კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივის დირექტორის მოადგილე, კინომცოდნე ნინო ძანძავა.

კინოფესტივალი 22 ივნისს გაიხსნება და 30 ივნისამდე გასტანს. ბოლონიის სინემათეკის მიერ 1986 წელს დაარსებული ფესტივალი საერთაშორისო მასშტაბით მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებაა. მასზე აღდგენილ ხმოვან და უხმო ფილმებს ცალკე სექციაში აჩვენებენ.

კინოფესტივალზე საქართველოს მხრიდან წარდგენილი „თუჯი“ (1964. რეჟისორი ოთარ იოსელიანი, სტუდია „მემატიანე“), „ხაბაზები“ (1970. რეჟისორი ბიძინა რაჭველიშვილი, „საქართველოს ტელეფილმების სტუდია“), „მეკვლე“ (1981. რეჟისორი გოდერძი ჩოხელი, სტუდია „მემატიანე“) და „არაბესკები ფიროსმანის თემაზე“ (1985. რეჟისორი სერგო ფარაჯანოვი, სტუდია „მემატიანე“) ეროვნული არქივის კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურმა არქივმა 2018-2019 წლებში ციფრულად აღადგინა. პროექტზე მუშაობდნენ გიორგი კაკაბაძე, ნინო ძანძავა და შალვა მიქუტიშვილი.

ქართული ფილმების გარდა სექციაში აჩვენებენ მსოფლიო კინოკლასიკას: ჟან რენუარის „ტონი“, ლუის ბუნუელის „ოქროს ხანა“, ფედერიკო ფელინის „ჯამბაზები“, ჯონ კასავეტესის „ქმრები“ და სხვა.

ვერტმფრენით... მარსზე

მარსზე ფრენების განხორციელებისათვის ვერტმფრენმა გამოცდა წარმატებით ჩააბარა და ახლა ის „წითელ პლანეტაზე“ გასამგზავრებლად ემზადება.



NASA-ს კუთვნილი Mars Helicopter-ი შესაძლოა, გახდეს პირველი საფრენი აპარატი, რომელიც სხვა პლანეტის ატმოსფეროში დაიდებს ბინას. ვერტმფრენის მარსზე გაგზავნა 2020 წლისთვის იგეგმება.

რეალურად, ვერტმფრენი წარმოადგენს ელექტრო დრონს და ის 1.8 კგ-ს იწონის. საფრენი აპარატი აღჭურვილია მზის ბატარეებით.

გველი ზურგჩანთით მგზავრობდა

20 წლის ტურისტი ავტოსტოპით მოგზაურობდა. მან მხოლოდ ფრენის შემდეგ აღმოაჩინა, რომ მის ზურგჩანთაში გველი იყო. აშშ-ის მოქალაქე ფორტ ლოდერდეილიდან ჰავაიზე გადაფრინდა და ზურგჩანთაში გველი ბოლო წუთამდე არ შეუნიშნავს. საბედნიეროდ გველი შხამიანი არ აღმოჩნდა.

როგორც Hawaii News Now-ი წერს, „თანამგზავრი“ ტურისტმა მას შემდეგ აღმოაჩინა, რაც ჩანთიდან ნივთების ამოლაგება დაიწყო. გველის აღმოჩენის შემდეგ მან დაუყოვნებლივ მიმართა სათანადო ორგანოებს და აცნობა, ფლორიდადან გველი უნებლიედ ჩამოიყვანა. სწორედ ფლორიდაშია გველის აღნიშნული სახეობა გავრცელებული. მამაკაცმა არ იცის, თუ როგორ აღმოჩნდა ზურგჩანთაში მისი უცნაური „თანამგზავრი“. ჰავაის ადგილობრივი სოფლის მეურნეობის განვითარების საბჭოში Hawaii News-ს უთხრეს, რომ ეგზოტიკური არსებები საფრთხეს უქმნიან უნიკალურ გარემოს. 30 სმ სიგრძის გველი უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანეს.



„თოკების პარკი“ ვიზიტორებისთვის

ვიზიტორებს მტირალას ეროვნულ პარკში კიდევ ერთი ახალი ტურისტული ატრაქცია –„თოკების პარკი“ ელოდება. პარკი ორ მარშრუტს აერთიანებს და მისი სარგებლობა ვიზიტორს 15-20 ლარად შეუძლია.

„თოკების პარკი“ ეს არის გასართობ-შემეცნებითი ატრაქცია, რომელიც შედგება თოკებისგან, ხის მორებისგან, ბადეებისგან, ხიდებისგან და სხვადასხვა ელემენტებისგან. პარკი გათვლილია ყველა სეგმენტის მომხმარებელზე. აქ არის ორი მარშრუტი: მოკლე და გრძელი. „თოკების პარკი“ არის ძალიან ექსტრემალური, სახალისო, რაც დაუვიწყარს ხდის მტირალას ეროვნულ პარკში ყოფნას.

„თოკების პარკზე“ ქართველი ვიზიტორების მხრიდან ჯერ-ჯერობით მოთხოვნა ნაკლებია, რადგანაც მათთვის ეს არის ახალი ატრაქცია, ხოლო უცხოელ ვიზიტორებს „თოკების პარკზე“ და ზოგადად მის სარგებლობაზე ინფორმაცია აქვთ“, განმარტავს მტირალას ეროვნული პარკის ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტი თეონა გვიანიძე.

მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ 2019 წლის 5 თვის მონაცემებით პარკში ვიზიტორების რაოდენობა 16%-ითაა გაზრდილი.

„ვიზიტორთა სტატისტიკის მიხედვით, იანვარ-მაისში, მტირალას ეროვნულ პარკში ვიზიტორთა 16%-იანი ზრდაა. ვიზიტორთა საერთო რაოდენობაში კი უცხოელ ვიზიტორთა რიცხოვნება 2-ჯერ აღემატება ადგილობრივი ვიზიტორების რაოდენობას.

პარკში ვიზიტორების მნიშვნელოვანი ზრდაა ევროპული ქვეყნებიდან, განსაკუთრებით გერმანელი, პოლონელი და უკრაინელი ვიზიტორების მხრიდან.

პარკში შესვლა ნებისმიერი მსურველისათვის უფასოა. პარკი მუშაობს ყოველდღე, ვიზიტორთა ცენტრი კი 9-დან 18 საათამდე. პარკში შემოსული ვიზიტორი დროში შეზღუდული არ არის“, – განმარტავს თეონა გვიანიძე.

ფოთის სანაპირო ზოლში ზღვის წყლის ხარისხობრივი მაჩვენებელი სტანდარტებს შეესაბამება

ლაბორატორიულმა კვლევის ცენტრმა დაახლოებით ორი კვირის წინ ზღვის წყლის სინჯი ოთხი სხვადასხვა ადგილიდან აიღო.

„უკვე ორჯერ გაკეთდა ზღვის სინჯების ანალიზები ოთხი სხვადასხვა ადგილიდან და ოთხივეს პასუხები საერთაშორისო ნორმებით, ზღვის წყლის სტანდარტს აკმაყოფილებს. უსაფრთხოა ჩვენი ზღვა, ასე რომ, ყველას შეუძლია, იბანაოს“ – აღნიშნა ლაბორატორიული კვლევის ცენტრის დირექტორმა გია რუხაძემ.

როგორც ლაბორატორიულ კვლევით ცენტრში აცხადებენ, მთელი სეზონის განმავლობაში ზღვის ხარისხობრივი მაჩვენებლის მონიტორინგი თვეში სამჯერ განხორციელდება.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა შაბათს, 22 ივნისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7664; ევრო - 3.0995;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4682;
100 რუბლი - 4.3046; თურქული ლირა - 0.4741;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6314;
1000 სომხური დრამი - 5.7984.

ამინდი 20 ივნისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +15, დღე +34
მთიანი რაიონები - ღამე +11, დღე +31
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17, დღე +34
მთიანი რაიონები - ღამე +13, დღე +32
თბილისი: ღამე +18, დღე +33

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge